პარასკევი 1919 წ. აპრილის 4 № 75
წელიწადი მეხუთე

პარასკევი 1919 წ. აპრილის 4 № 75
ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურ[illegible]

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

ორს აპრილს, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

თავადი ალექსანდრე ივანეს ძე

ჯამბაკურ-ორბელიანი

რასაც ულრმესი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მეუღლე მისი მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ ორბელიანისა. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ს ნიკოლოზის ქ. № 66. გასვენება ბინიდან სიონის ტაძარში კვირას 6 აპრილს დილის 9 ნახ. ს.

3—2268—1

დამწუხარებულნი: მეუღლე ეკატერინე ნიკოლოზის ასული, რძალი მარიამ, ძმისწული მიხეილ, ძმისწულის ცოლი ნინო ბაშარულები და დეიდაშვილები ნუცა და ელისაბედ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

გიორგი (ბუდაია) ოქროპირის ძე

ქველიძე

პანაშვიდი პარასკევს 4 აპრილს საღ. 7 საათზე საკუთარ ბინაზე „ობზრესტვენი“ ქუჩა № 9. გასვენება შაბათს 5 აპრილს 10 საათზე ხამების ეკლესიაში, დაკრძალვა ნინოწმინდის სასაფლაოზე.

რესტორანი პარიზი რესტორანი

ქართულ კლუბის ქვეშ (სასახლის ქუჩა)

სრულიად ახლა გადაკეთებული
ცალკე მოწყობილ დარბაზებით
გაიხსნა 14 მარტიდან

მზადდება ყოველ დღე საგანგებო: საუზმე, სადილი, ვახშამი აზიზ კერძებით.

საუცხოვო საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული

საგანგებო ყავა-ხანა

◆◆◆ ფასები ზომიერია ◆◆◆

საამხანაგო, საზეიმო სადილ-ვახშმები ფას-დაკლებით.
(მსახურთ პროცენტები მოსპობილია)

სასმელები ყველა კუთხისა, ფირმისა და მარკისა.

25—32—15 პატივისცემით: ხ. გიგიბერია და ვარ. გვათუა.

ლეკურის კურსები
მსახიობ
ელო ანდრონიკაშვილისა

1 ლი აპრილიდან გაიხსნება ლეკურის კურსები მე-7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) მისავალი ევანგულოვის ქუჩიდან სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. პირველი კარები.

ჩაწერა შეიძლება საღამოობით 5-დან 7 საათ.

25—39—9

ქართული აქციონერულ საზოგადოების **„ოქროს ვერძი“-ს** გამგეობა ამით აცხადებს,
რომ კვირას ამა წლის 4 მაისს, დილის 11 საათზე, გამგეობის დარბაზში (ქ. ფოთი, ლიალინის და მიხეილის ქუჩების კუთხე, ციციაშვილების სახლი)

დანიშნულია საზოგადოების აქციონერების წლიური კრება, რომელზედაც გაირჩევა შემდეგი კითხვები:

1) წესდების § § 4, 6, 8, 12, 17, 26, 32, 41 და 57 შეცვლა.
2) განხილვა წლიური ანგარიშისა და დივიდენდის განაწილება.
3) გამგეობის ორი წევრის არჩევა.

ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ თუ რაიმე მიზეზით დანიშნულ დღეს, 4 მაისს, კრება არ შესდგა, იმ შემთხვევაში კრება უნდა ითვლებოდეს მოწვეულათ იმავე დროზე და ალაგას მეორეთ, კვირას 18 იმავე მაისს.—

(2—2266 2)

ქართული კლუბი

კვირას, აპრილის 6-ს, დილ. 11 საათ. დანიშნულია კლუბის დარბაზში კლუბის წევრთა

წლიური კრება

კრების საგანია:

1. განხილვა და დამტკიცება 1918 წლ. ანგარიშისა და 1919 წლ. ხარჯთაღრიცხვისა. 2. მიმდინარე საკითხები. 3. არჩევნები: მამასახლისთა და მათ კანდიდატთა, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატთა, კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა. კრება კანონიერად ჩაითვლება კლუბის წევრების § 29 ძალით, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

2—44—2

სახელმწიფო თეატრი
საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა
დღეს, 4 მარტს, წარმოდგენილი იქნება
აბესალომ და ეთერი
5 აპრილს „ხადკო“, 6 აპრილს დილით „ფაუსტი“ საღამოთი „გეიშა“, 7
7 აპრილს „ევგენი ონეგინი“.

მედიცინის დოქტორი
ა. გ. მაჭავარიანი
ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) საველე ტელეფონი № 43.
60—2171—17

სოჭის მხარე

ცნობილია, რომ სოჭის ოლქზე რუსეთს არავითარი უფლება არა აქვს. მაგრამ ძველი ძალმომრევი რუსეთი მაინც არ ისვენებს და ცდილობს მისგან აყრილი ხალხის მიწა-წყალი თვისთვის დაიმკვიდროს. დღევანდელი მოსახლეობა ამ ძველი ჯიქეთისა მეტად ჭრელია: აქ არიან ქართველები, აფხაზები, რუსები, ესტონელები, სომხები, ბერძნები, გერმანელები, მოლდაველები და სხვანი.

უნაყოფოთ ჩაიარა რუსეთის მთავრობის ცდამ, ჯიქეთი რუსეთად გადაექცია. ამ მხარის კლიმატიური პირობები აუტანელი აღმოჩნდა რუსის კოლონისტებისთვის. თვით ბუნება ისტორიასთან ერთად ეწინააღმდეგა რუსთა დამკვიდრებას.

პირიქით, ჯიქეთი—საქართველო—აფხაზეთის ბუნებრივი გაგრძელებაა და ქართველი ხალხის გაწევა ჯიქეთისკენ ძლიერის და ჩქარის ტემპით სწარმოებს. მიუხედავათ იმისა, რომ ძველი რუსეთი აშკარად უკრძალავდა ქართველობას საკუთრება და სახლკარი შეეძინა ამ სანაპირო ადგილებზე, სტიქიურ მოძრაობას მაინც თავისი გაჰქონდა და დღეს აქ მყოფ ქართველთა რიცხვი 8000 სულს აღემატება. მთელს ოლქში მკვიდრი მოსახლეობა, დროებით მცხოვრებთა გამოკლებით, ითვლება 17000 სული. გარდა იმისა რომ მთელი ეს მხარე ტუაპსის ოლქით დიდ ხანს საქართველოს სახელმწიფოებრივის ცხოვრებით სცხოვრობდა, ეს მხარე კერძოდ აფხაზ-უბიხების სამშობლოა და ავტონომიურ აფხაზეთთან ერთად დღეს საქართველოს კანონიერ საზღვრებში შემოდის. ყველა ამ გარემოებამ და სტრატეგიულმა მოსაზრებამაც საქართველოს მთავრობა ჯიქეთში დაამკვიდრა.

ამ ფრონტზე საქართველოს რესპუბლიკას მცირე ჯარი ედგა, რადგან ინგლისის მისიისგან დაჯერებული იყო, რომ დენიკინი საქართველოს საზღვრებში არ შემოიჭრებოდა. მოხალისეთა არმიის სარდლობამ სიტყვა გასტეხა, ისარგებლა მდგომარეობით, მოიმწყვდია ჩვენი მცირე ძალები, დაიჭირა მთელი ოლქი და სამხრეთისკენ გამოწევა დააპირა. ჩვენი სამხედრო ძალების სწრაფმა გადაყვანამ ჩრდილოეთში დენიკინს ანგარიში შეუშალა. საქმეში ინგლისი ჩაერია და 20 თებერვალს, ინგლისის დიპლომატიური მისიის მეთაურმა ბ-ნმა უოკერმა საქართველოს მთავრობას აცნობა, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ უბრძანა გენერალ დენიკინს დაუყოვნებლივ დასცალოს სოჭის ოლქი, რადგან მოხალისეთა არმიამ დაარღვია დადებული პირობები და საქართველოს სიზღვრებში შემოიჭრაო. ამ ცნობამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია ქართველ საზოგადოების ყველა წრეებში.

ინგლისის ამ ნაბიჯმა თავისი პრაქტიკული ნაყოფი გამოიღო და სამხედრო მოქმედება შესწყდა.

სამხედრო მოქმედების შეწყვეტა ჩვენთვის სრულიად მისაღები იყო, ვინაიდან საქართველოს უფლება აღდგენილი უნდა ყოფილიყო სოჭის ოლქში, თანახმად ინგლისის გაცემული ბრძანებისა.

მას აქეთ, მოხალისეთა სარდლობის წრეებიდან ბევრჯელ გამოსულა ცნობა, რომ სოჭის ოლქის არავითარ დაუყონებლივ დაცლაზე ლაპარაკიც არ ყოფილა და სხვა ამგვარი. ეტყობოდა, რომ მოხალისეთა სარდლობა ჭირვეულობდა და საზოგადოებრივი აზრის მისტიფიკაციას ცდილობდა...

ფაქტიურად ერთი რამ მაინც არის. ინგლისის ბრძანება მოხალისეთა არმიის სარდლობამ არ შეასრულა და სოჭის ოლქი დღესაც მოხალისეთა ჯარს უჭირავს. მეტიც, დენიკინი თავის „მემორანდუმში“, რომელიც გაზეთ „ედინაია როსსიაში“ იყო დაბეჭდილი და ნაწილებრივ „საქართველოს“ გუშინდელ ნომერში ითარგმნა შემდეგის კატეგორიულის non possimus-ით უპასუხებს ინგლისის ბრძანებაზე: „ახალ სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, რუსულ ადმინისტრაციისა და ჯარების დარჩენა სოჭის ოლქში საჭიროა და სამხრეთ რუსეთის უმაღლესი სარდლობა კატეგორიულად უარს აცხადებს ამ მოთხოვნილების განხორციელებისათვის“. შემდეგ თავის მემორანდუმში გენერალი დენიკინი მოითხოვს, რომ მთელი აფხაზეთი ნეიტრალურ ზონად გამოცხადდეს, საიდანც საქართველო გამოდევნილი უნდა იყოს და რომელსაც უნდა მმართავდეს აფხაზთა და მოხალისეთა არმიის შერეული კომისია.

ყველაფერი ცხადათ და მკაფიოდ არის ნათქვამი. დენიკინი ინგლისის ბრძანებას ანგარიშს არ უწევს და თუ დრომ და გარემოებამ ხელი შეუწყო მიზნათ ისახავს, სოჭა-სოხუმის ოლქებით საქართველოს შუაგულში შემოჭრას და თვით საქართველო დაამხოს. ამ შესაძლოების წინაშე და ამ ჩრდილოეთის საზღვრის უზრუნველსაყოფად ჩვენს მთავრობს მართებს, ენერგიული მოქმედება შინაური სიმტკიცისა და სამხედრო ძლიერების შესაქმნელად. ამავე დროს მთავრობამ ამ თავითვე უნდა გადადგას შესაფერი დიპლომატიური ნაბიჯი ინგლისის მისიასთან, „სოჭის გაუგებრობის“ გამოსარკვევად და სოჭის მდგომარეობის ლიკვიდაციის დასაჩქარებლად, თანახმად ამ თვე ნახევრის წინად ინგლისის მთავრობისგან გაცემული ბრძანებისა.

დამფუძნებელი კრება და ჩვენი საგარეო პოლიტიკა

საქართველო დღეს განიცდის უძნელეს და ურთულეს წუთებს თვისი არსებობისა. შინ ხდება რთული საზოგადოებრივი გარდაქმნა. მაგრამ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან განვლილმა დრომ დაგვანახვა, რომ ჩვენ საკმაო მომზადება და შემოქმედებითი ძალა შეგვწევს შინაურ საქმეებს გაუძლვეთ და მოვაწესრიგოთ.

ხოლო ჩვენი საგარეო საქმეები დღემდისაც გამოურკვეველი არის. რასაკვირველია, უმთავრესად ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაში და იმ ბურუსში, რომელიც მის გარშემო დღემდისაც არ გაფანტულა. ვერ ვიტყვით, რომ საქართველო ორჭოფულ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდეს. პირიქით, პირველი დღიდანვე ჩვენი განცხადება იყო ნათელი და მასთან ყოველივე ეგოიზმს მოკლებული. ყველასთან და განსაკუთრებით მეზობლებთან მეგობრული განწყობილება და ნეიტრალობა—აი რა დაედვა საფუძვლად ჩვენს პოლიტიკას. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვპოვეთ მეზობელთა შორის იგივე გულდია მოქმედება და ზრახვანი. პირიქით, ჩვენ გარშემო გაიბა ქსელი რთული ინტრიგებისა, რომელთა ავტორები ხშირად სიბნელეში იმალებიან. დღემდის ცუდად თუ კარგად შევძელით ამ იერიშების მოგერიებაც. მაგრამ ის ტორტმანი და გამოურკვეველი ღელვა, რომელიც ჩვენ გარშემო არ წყნარდება, მაინც საკმაო სიმშვიდეს არ გვაძლევს და გვიკარნახებს ვიყვეთ ფრთხილად და წინდახედულად. განსაკუთრებით დღეს, როცა აშკარად ირკვევა, რომ საქართველო ვერ დარჩება დიდ საერთაშორისო პოლიტიკის გარეშე.

ასეთ დროს, როცა მთელი ერი და მისი დიდი ტანჯვით მოპოებული თავისუფლება ერთი შემცდარი ნაბიჯით შეიძლება განსაცდელში ჩავარდეს, უაღრესი მოვალეობა ჩვენი არის საგარეო საქმეებში ვიყვეთ, როგორც ერთი პიროვნება, შეთანხმებული და შეერთებული.

ხოლო ასეთი შეთანხმება გულისხმობს, რომ ყოველთვის, ვიდრე რაიმე მძიმე დიპლომატიური ნაბიჯი გადაიდგმება, დღეს საქართველოს უმრავლესობის წარმომადგენელი მთავრობის პასუხის მგებელნი პირნი სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებსაც დაეკითხებიან და შეეცდებიან მათთან თანხმობით იმოქმედონ. ასეთი მოქმედება პრაქტიკულადაც და ზნეობრივადაც აუცილებელია.

ამიტომაც ჩვენ ვფიქრობდით, რომ დამფუძნებელი კრება, ან უკეთ ვსთქვათ, მისი უმრავლესობა გაიზიარებდა ამ ელემენტარულ აზრს და იმ მრავალ კომისიათა შორის, რომელიც მან შექმნა, აუცილებლივ დააწესებდა საგარეო საქმეთა კომისიასაც. მაგრამ მოვსტყუვდით. ყოველ გვარი კომისია ავირჩიეთ, ხოლო როცა მოვაგონეთ უმრავლესობას, საჭიროა საგარეო საქმეთა კომისიაც ავირჩიოთ, უარი მივიღეთ. რით ავხსნათ ეს უარი? ეგება ამ მძიმე დროს ხელმძღვანელნი ერიდებიან ზოგიერთი საკითხების შესახებ წინასწარ, უდროოდ გახმაურებას? არ მგონია, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ ყოველ შესაძლებლობას გადავაჭარბეთ. საგარეო საქმეთა სამინისტრო მოგაგონებთ გაზაფხულზე აფუსფუსებულ სკას. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქაური ფუტკრები სკისკენ კი არ ეზიდებიან საგზალს, პირიქით იქიდან ცდილობენ გამოიტანონ. ვფიქრობთ, თუ უპასუხისმგებლო პირთ შეძლება აქვთ ყურმოკრული ამბები ქარს მისცენ, პასუხისმგებელნი პირნი, ხალხის მიერ არჩეულნი, მეტის ნდობით უნდა იყვენ აღჭურვილნი.

უფრო წარმოსადგენია ამ შემთხვევაში დამფუძნებელ კრების უმრავლესობის წინდაუხედაობა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს შეცდომა გასწორებული იქნება და უახლოეს სხდომაზე დამფუძნებელი კრება შექმნის საგარეო საქმეთა კომისიას, სადაც საშვალება მიეცემა დამფუძნებელ კრებაში არსებულ ყველა საზოგადოებრივ მიმდინარეობათ თვალ ყური ადევნონ საგარეო საქმეებს და შეძლებისდაგვარად დახმარება და თანამშრომლობა გაუწიონ ამ მძიმე მომენტში ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელმძღვანელთ.

პეტრე სურგულაძე.

სკოლის რეორგანიზაციისათვის

სკოლა და მისი ორგანიზაცია ყოველთვის ერს და სახელმწიფოს უმთავრეს და საჭირბოროტო საკითხს შეადგენს. სკოლა სარკეა ერის ცხოვრებისა; იგი უებარი საშვალებაა ცხოვრების ყოველმხრივ გასაუმჯობესებლად: ერის გონებრივი, ზნეობრივი და ეკონომიური წინსვლა და წარმატება სკოლაზეა დამოკიდებული. სკოლა ერთგვარი ლაბორატორიაა, სადაც მზადდება და გროვდება ის მრავალგვარი მასალა, რომელიც უნდა მოხმარდეს ცხოვრების სხვა და სხვა დარგის ჯეროვნად მოწყობას და გაფართოებას. აქ ეყრება საძირკველი მოქალაქის ცოდნას; აქ მუშავდება მისი მსოფლ მხედველობა; აქ ვარჯიშდება და თითქმის ყალიბდება მისი ხასიათი, ნებისყოფა. ერთის სიტყვით, სკოლა ამზადებს მომავალს მომქმედ და ცხოვრების შემქნელ მოქალაქეს და ადამიანს. მაშასადამე, დიდი მნიშვნელობა აქვს ერისა და სახელმწიფოსათვის, თუ რანაირ ცოდნით და ფაქტებით იკვებება მისი სული და გული, თუ რა ფიქრები და მოვლენები, რა პოლიტიკურ-სოციალური და ეკონომიური ნორმები გადიქცევა მისთვის სამოქმედო რწმენად და პრინციპად.

ამ ნიადაგზე ბუნებრივად იმართება შეჯიბრება, ხანდისხან ბრძოლაც, ერის და სახელმწიფოს სხვა და სხვა ორგანიზაციების და ჯგუფების შორის. ყველა მათგანი ცდილობს სასკოლო საქმე მოეწყოს მისგან არჩეულ იდეათა მიხედვით; ყველა ცდილობს მოზარდი თაობა იყოლიოს თავის გავლენის ქვეშ და თვით სკოლას დააკისროს განსაზღვრულ იდეათა ქადაგება და განხორციელება. მაგრამ ეს შეჯიბრება, ეს ბრძოლა, სხვა და სხვა სახელმწიფოში სხვა და სხვა ხასიათს იღებს. პოლიტიკურად ჩამორჩენილ სახელმწიფოში, აი მაგალითად, როგორც რუსეთი იყო, იგი სასტიკს და შეურიგებელ ხასიათს იღებს; მოწინავე სახელმწიფოებში კი იგი სწარმოებს მიზანშეწონილად და საღ პედაგოგიკის მოთხოვნილებათა დაურღვევლად.

როგორც ვიცით, დღევანდელი ჩვენი სხვა და სხვა ტიპის სკოლები, როგორც შემადგენლობით, ისე ორგანიზაციითაც, ქართული არ არის. ეს არის რუსული სკოლები, საქართველოს განთავისუფლების შემდეგ მხოლოდ ჩვენი განმგებლობაში დარჩენილი. ტიპები ამ სკოლებისა რუსეთშია შემუშავებული რუსის ერის და სახელმწიფოს მოთხოვნილების და ინტერესის მიხედვით. სწავლა-აღზრდის დეტალებიც კი რუსულ ცხოვრებასა და სინამდვილესთან არი შეფარდებული. რუსულ ტიპის სკოლებში ჩვენში დღემდის მოხერხდა მხოლოდ ნაწილობრივი და ისიც ფორმალური გაეროვნება, ნაციონალიზაცია, ე. ი. შემოღებულ იქმნა, პროგრამათა თითქმის შეუცვლელად, საგნების ქართულად სწავლება ოთხ კლასამდის (გარდა ორიოდე სასწავლებლისა). საგნების მიზანშეწონილად გადაჯგუფება და სწავლის ხასიათის და მეთოდის შეცვლა აქაც არ მომხდარა.

უფროს კლასებში ქართველი მოწაფეები სხვებთან ერთად რუსულად ვარჯიშობენ და მეცადინეობა სწარმოებს მომეტებულ შემთხვევაში რუს პედაგოგების ხელმძღვანელობით.

აღზრდის საქმეც ძველებურად მიმდინარეობს. ამ სფეროში არაფერი არ შეცვლილა. კასის მიერ შემოღებული ინსტიტუტი კლასის აღმზრდელებისა

უკანასკნელი ცნობები

შეიდემანის მთავრობამ დაადგინა გაფიცვების დროს რურის ოლქში საალყო წესები გამოაცხადოს.

ესენის მუშებმა გადასწყვიტეს საერთო გაფიცვა გამოაცხადონ, მუშები მოითხოვენ 6 საათის მუშაობას, საბჭოთა სისტემის აღიარებას, პოლიტიკურთათვის ამნისტიას, მოხალისეთა კორპუსის დაშლას და რუსეთის საბჭოსთან დამოკიდებულების განახლებას.

ვილნის გუბერნიაში სდგება კომუნისტური იაჩეიკები და სასოფლო სამეურნეო კომუნები, ბურჟუაზიას კონტრიბუცია დაადვეს და სამუშაოდ გაიყვანეს.

ჩინეთის ილიის პროვინციაში მთავრობის წინააღმდეგ რევოლიუციური მოძრაობა დაიწყო. ქ. ქიულჯაში სამხედრო წესები გამოცხადდა.

ბუდაპეშტში რევოლიუციონური საბჭო სასტუმროების სოციალიზაციას ახდენს.

დღესაც ძალაშია და მოქმედობს სწორედ იმ შინაარსით და სახით, როგორც თვითმპყრობელ და ბიუროკრატიულ რუსეთში. რომ ის დღეს ანაქრონიზმია და შეუფერებელი,—ამის შესახებ კითხვაც არ დასმულა. მოწაფეები დღესაც გარეგან-ფორმალურ მზრუნველობა-ზედამხედველობის ობიექტად არიან დასახულნი. მასწავლებლებს კი ამ სისტემის განხორციელებისთვის დაჟინებით მოუწოდებენ. დღემდის გამოსული ახალი ცირკულიარები ძველი ცირკულიარების ან განმეორებაა ან უფრო ხაზგასმითი დეტალიზაცია, ე. ი. ძველი დრომოჭმული სისტემის გაღრმავება, მკვდრეთით აღდგომა. ასეთია, მაგ., უკანასკნელი ცირკულიარი დირექტორების უფლებების შესახებ. ის თითქმის აუქმებს იმ შეზღუდულ-შემოკლებულ ავტონომიასაც, რომელიც მიენიჭა ჩვენს საშვალო სკოლას რევოლიუციის ხანაში. პედაგოგიურ საბჭოს მიერ არჩეულ მასწავლებლის გამოსარიცხად წარდგენა საბჭოს დაუკითხავად დირექტორების მიერ,—ეს ერთგვარი გაუგებრობაა, მეტიც რომ არ ითქვას. ეს კოლეგიალობის დარღვევაა და პერსონალური თვითნებობის წაქეზება. სწორედ ასე იყო ძველს რუსეთში!

აგრეთვე ჩვენს სკოლებს არა აქვს არავითარი ახალი, დროს შესაფერი გეგმა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს მოწაფეთა განვითარების საქმე: როგორ და რა სახით უნდა იქმნას შეტანილი საგნების სწავლებაში აღმზრდელობითი — განმავითარებელი ელემენტი; რა პასუხის მგებლობით და ვის უნდა დაევალოს ამ საქმის განხორციელება. როგორც ვიცით, ჩვენში დღესაც, როგორც უწინ რუსეთში, სკოლის არსებობა ორ საფუძველზეა დამყარებული: სწავლებაზე (преподаванiе) გარეგნულ ფორმალურ აღზრდასა და დისციპლინაზე. რომ საჭიროა მესამე საფუძველიც, ე. ი. განვითარებაც,—ეს თითქოს დავიწყებულია, დავიწყებულიც რომ არ იყოს, ისმება საკითხი: მისი აღსრულება, ვის უნდა დააკისროს ხელმძღვანელ ორგანოებმა? —რასაკვირველია მასწავლებელსო, იტყვიან. მართალია, იდეიურად, არსებითად რომ ვიმსჯელოთ, ეს მოვალეობა უნდა დაეკისროს მასწავლებელს, მაგრამ არა იმ მასწავლებელს, რომელიც კასოს ინსტრუქციით და ჩვენი სამინისტროსაგან გამოცემული ამავე ხასიათის და შინაარსის ცირკულიარით შეკრულ-შებოჭვილი ათასნაირ წვრილმან მოვალეობით დატვირთულია, გარეგნულ-კარიდორულ ზედამხედველობაშია ჩაბმული და პირველ გაკვეთილიდან უკანასკნელ გაკვეთილამდე ინსპექციის როლს ასრულებს...

ამ ნაირად, ვიმეორებთ, ჩვენში დღემდის სკოლა არ განახლებულა; ფაქტიურად იგი ისევ რუსულ ელფერისა და ხასიათისაა. ახალ ცხოვრებას, ახალ მოთხოვნილებებს და განცდას მისი სახე არ შეუცვლია.

საჭიროა, სკოლის გაქართულების პროცესი დაჩქარდეს; საჭიროა შემუშავდეს ტიპები სკოლისა, შეიცვალოს სისტემა სწავლა-აღზრდისა.

ეს ეროვნული საქმე უნდა გაკეთდეს და მოეწყოს არა კაბინეტებში და ბიუროკრატიულად მას უნდა მიეცეს ფართე ხასიათი; მის შესახებ მსჯელობასა და გარჩევაში მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადოებამაც.

ივ. ვართაგავა.

რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა.

როგორც უნდა გადასწყდეს საკითხი რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალისა გვეყოლება მუდმივი, ძალა თუ მათი ორგანიზაცია მოეწყობა მხოლოდ საჭიროების დროს,—ყოველ შემთხვევაში ეს ძალა უსათუოდ უნდა იყოს რეგულიარული, ე. ი., წესიერად მოწყობილი, სამხედრო მეცნიერების—ტაქტიკის—მოთხოვნის დამაკმაყოფილებელი.

რეგულიარულ ჯარის წყობილება ყველა ჩვენგანმა უწყის: ეს არის ჯარის ერთეულები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული ორგანიზაცია, სათანადო გაწვრთნა და საუკეთესო დისციპლინა. მხოლოდ ამგვარ ჯარებს ძალუძთ აღასრულონ ბრძოლის მიზნები თვალსაჩინოდ და რაც შეიძლება მცირე დანაკლისით. დაწესება ყოველივე სხვა სახის ჯარის ეგრედ წოდებული—შეუკეთებელ ჯარის და მით უმეტეს ისეთ ერთეულის, რომელიც მხოლოდ ანტაგონიზმს ჰბადებს, დაუშვებელია. რა არი მილიცია? სამხედრო-სამეცნიერო თვალსაზრისით მილიცია – იგივე სათანადოდ, ე. ი., რეგულიარულად მოწყობილი მხედრობაა, მაგრამ დროებითი დანიშნულებისა, მოწვეულია უკიდურეს საფრთხის დროს იმ მოქალაქეთაგან, რომელნიც მშვიდობიან დროს არ არიან ვალდებულნი იმსახურონ. შეუსმენელ ხალხის წყალობით, მილიციაზე გადამახინჯებული წარმოდგენა აქვთ დღეს. ამ ადამიანებს საქმე მუდამ შეიარაღებულ ხალხის ბრბოსთან ჰქონდათ. მილიციათ ისინი ჰგულისხმობენ ისეთს უორგანიზაციო, გაუწვრთნელ და უდისციპლინო შეიარაღებულ მოქალაქეთა დუნდგოს, რომელიც რომელიმე „ორატორის“ დაძახნაზე მზად არიან გაეშურონ იქით, საიდანაც შიში მოელით.

ეს არის ბრძოლის საშუალება დახავსებულ დროისა; ამ საშუალებას ხალხი მიჰმართავდა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ მოეპოვებოდათ არავითარი სხვა საშუალება; დღეს—კი ასეთი მდგომარეობა ყოვლად უაზროა. რათ უნდა ხდებოდეს, რომ მონარქიული სახელმწიფოს შეეძლოს ბრწყინვალე და რკინის ჯარების გამოყვანა, ხოლო რესპუბლიკის განკარგულებაში უნდა იყვეს არევ-დარეული, უორგანიზაციო მასსა შეიარაღებული ადამიანებისა. ჩვენ კი გვგონია, რომ რაც უფრო განვითარებული და გაუმჯობესებულია სახელმწიფოს წესწყობილება, მით უკეთესი და გაკაჟებული უნდა იყოს შეიარაღებული ძალა. იქნებ რეგულიარული ჯარის შეცვლა შეიარაღებულ ხალხის იაფ-ფასიან ბრბოდ ეკონომიის მისაღწევად უნდათ?! მაგრამ ხალხმა და ხალხის წარმომადგენლებმა უნდა მხედველობაში მიიღონ ის გარემოება, რომ შეიარაღებულ ძალის შექმნისთვის გამოწვეული აუარებელი მსხვერპლი—სრულებით უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რაც სავალდებულო და აუცილებელი იქნება შეიარაღებულ შეჯახების შედეგის ლიკვიდაციისათვის.

მე მგონია, რომ ქვეყნის კეთილდღეობისათვის ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა განვაცხადოთ უორგანიზაციო და უდისციპლინო შეიარაღებულ მასსაზე, რომელიც საშიშია საკუთარ სახელმწიფოსთვის უფრო, ვიდრე მტრისთვის.

შეგნება და გონებრივი განვითარება ისე არ ანიჭებს შეიარაღებულ ძალას ბრძოლის უნარსა და სიმტკიცეს, როგორც ორგანიზაცია, გაწვრთნა და საღი დისციპლინა.

ამერიკის პრეზიდენტი რუზველტი—შეერთებულ შტატების საომარ შეტაკების გამოცდილებით—დაყრდნობას მილიციაზე (შეიარაღებულ ხალხის ბრბოზე) გადატეხილ ჯოხზე დაყრდნობას მიამსგავსებდა.

რაკი ხალხის შეიარაღება საჭიროა და მას იარაღით ხელში ბრძოლა უხდება, ისიც საჭიროა, რომ ამ შემთხვევაში ვიმოქმედოთ სამხედრო მეცნიერების მიხედვით, რომელსაც ამაგრებს კაცობრიობის ისტორიის ეგზომ ხნის გამოცდილება. უკეთესის მოგონება შეუძლებელია...

ა. ზა-ლი.

სახაზინო რკინის გზის ამბები

1. საქ. სახაზინო რკ. გზის მართველობამ პირველ აპრილს გახსნა თბილისის ქალაქის სადგური, ერევნის მოედანზედ ქალაქის თვითმართველობის სახლში, ჯერ მხოლოდ სამგზავრო ბილეთებს ჰყიდიან ჩვენსა და ადერბეიჯანის რკ. გზებზედ სამგზავროდ, შემდეგში აპირებენ ბარგისა და საქონლის მიღებას. საკომისიოს ქალაქის სადგური პირველი კლასისას ბილეთის და პლაცკარტის ფასის გარდა იღებს სამ მანეთს, მეორის—ორ მანეთს და მესამისა—მანეთს. სადგური ღიაა 9—3 საათამდე.

2. მიღებულია შემდეგი დადგენილება მართებლობისა:

„აეკრძალოს დროებით რკინის გზის სადგურებზე აპრილიდგან ფოთსა და ნატანებამდე კერძო პირთა და დაწესებულებათაგან სიმინდის ტვირთის მიღება და გაგზავნა, 5 ფუთზე ზევით თითო მგზავრზე“.

რა არის აკრძალული? სიმინდის გზავნა ტვირთად თუ ბარგად? თუ ტვირთია მგზავრი რა შუაშია? ხომ შეიძლება ეს ტვირთი ისე იყოს გაგზავნილი, რომ მგზავრი თან არ გაჰყვეს? გარდა ამისა: ფოთიდგან ნატანებამდე მდებარე სადგურებს აეკრძალათ სიმინდის მიღება, თუ ყველა სადგურებს აეკრძალათ სიმინდის მიღება და გზავნა ფოთსა და ნატანებში, რომ ჩვენთვის საჭირო სურსათი საზღვარ გარეთ არ გაიტანონ?

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო, მართალია; მაგრამ არც იმისთანა შემოკლება ვარგა, რომ დადგენილების ამსრულებელმა ვერც თავი გაუგოს ბრძანებას, ვერც ბოლო, ვერც აზრი, ვერც მიზანი.

3. მეორე მაგალითი მეტის-მეტი ლაკონიზმის უვარგისობისა: ბრძანება არის, ნაციონალიზაცია შევაჩეროთ. ნაციონალიზაცია ისედაც შეჩერებული იყო. ქართულის არა მცოდნეთ ივლისამდე ვადა მისცეს ენის სასწავლებლად და მაშასადამე ქართულის არა მცოდნენი თავთავიანთ ალაგზედ სხედან და მიწერ-მოწერას რუსულად აწარმოებენ. ანგარიშები ყველა განყოფილებაში რუსულად სწარმოებს. ივლისისთვის ამ ბრძანებას თავისი მნიშვნელობა ექნებოდა, ენის არ მცოდნეთ არ დაითხოვდნენ; დღეს კი სრულიად გაუგებარია. ზოგნი ამბობენ, რომ ყოველი მიწერ-მოწერა ისევ რუსულად უნდა იყოს და ქართულად აღარაფერიო, ზოგნი ერთ ნაბიჯს კიდევ წინ სდგამენ და ამტკიცებენ, თუ დათხოვნილია ვინმე ენის უცოდინარობისა გამო უკანვე უნდა იყოს მიღებულიო! გაგვაგებინეთ, რაშია საქმე?!

4. განზრახულია გზათა სამინისტროს და რკინის გზის მმართველობის რეორგანიზაცია. დანიშნულია კომისია რომელიც შესდგება ხუთი წევრისაგან, ხუთი ინჟენერისა და ხუთი ტეხნიკისაგან კომერციული [illegible] გზის კომისიაში წევრები არა ჰყავს.

რკინის გზის ერთად-ერთ დანიშნულებად ის მიაჩნდათ, რომ წესიერად მოაწყონ მატარებელთა მიმოსვლა. კომერციულ მხარეს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, უწინ ტარიფების საკითხი არავის აწუხებდა, რადგან პეტროგრადი მზამზარეულად გვაწვდიდა ყველაფერს. ტარიფები უნდა შევიმუშავოთ ისე, რომ რკინის გზამაც უზარალოდ იმუშავოს, რკ. გზით მოსარგებლე ვაჭრობა-მრეწველობამ და მეურნეობამაც შესძლოს ამ ტარიფებით მიმოსვლა და საქონლის ზიდვა. ამას დაუმატეთ საჭირო შეთანხმება აზერბაიჯანის და სომხეთის გზებთან და შემდეგ რუსეთის გზებთან და ნავოსან საზოგადოებთან შავ-ზღვაზე.

1918 წლის სმეტის შედგენის დროს უკვე გამოითქვა ის აზრი, რომ რკ. გზის საკომერციო საქმეთა გამგეობას რამდენიმე კაცი გაუძღვება მოძრაობის განყოფილებაშიო, მაგრამ შარშან ეს აზრი ვერ განახორციელეს...

რკინის-გზელი.

მთიელთა ბრძოლა მოხალისეთა ლაშქართან.

საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელის ადერბეიჯანის რესპუბლიკაში ბ-ნ ნ. ქარცივაძისაგან გარეშე საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო 2 აპრილს: „მე გადმომეცა ნოტა კავკასიის მთიელთა ხალხთა კავშირის მთავრობისა, მთავრობა იძულებულია მიიღოს ზომები იარაღით ხელში მოხალისეთა წამოსულ ჯარების წინააღმდეგ.

ნოტასთან ერთად მე მომივიდა ასლი იმ დეპეშისა, რომელიც გაეგზავნა მთიელთა მთავრობის სამხედრო მინისტრს ოფიციალურად ჩეჩენთა ოლქის მთიელთა ჯარების სარდლის მიერ, შემდეგი შინაარსისა: „დამატებით ჩემი მოხსენებისა № 58, 27 მარტის თარიღით გაცნობებთ, რომ საღამოს ჟამს მტერი უკუ ვაქციეთ მთელ ფრონტზე. გუშინ და დღეს ალხანიურთან მტერმა დიდი ზარალი მიიღო ამ რაიონში. ჩვენ ხელთ ვიგდეთ სამი ტყვიის მფრქვეველი, ორი ზარბაზანი, ათი ფურგონი ყუმბარებით, „ტაჩანკა“ თოფებით. სოფელ აჩხოიმარტანის რაიონში მოწინააღმდეგის ძლიერი იერიშის მიუხედავად მას არ მივეცით საშუალება საზღვარი გადაელახა ამ სოფელსა და სადგურ ოსინოვსკის შუა. ნოვო-პრომისლების რაიონში ბერდიკელთან და უსტარგარდასთან ჩვენი კონტრიერი-

ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

35.

გულწრფელმა შექებამ სასიამოდ გაალიმა ვეზირი და მადლობის ნიშნად თავი დაახრევინა მეფის წინაშე. ხმაკი აღარ ამოიღო, მთლად სმენად გარდაიქცა და მოლოდინად: მიჰხვდა გამოცდილი კარის კაცი, რომლის სიბრძნე ცბიერების დაღმართისკენ იყო დახრილი, რომ მეფის გულის საიდუმლო რამ განცდა აღელვებდა, მის გონების თვალს განსაკუთრებითი სურათი აღმართოდა წინ, მის სულ სულში ახალ გრძნობას გაევლო და ღრმა კვალი დაემჩნია ზედ; ეს იდუმალი განცდა ავსებდა აწ მეფეს და მზა იყო განსახებულიყო თქმაში თუ ქმნაში. ელოდა ვეზირი, განეგრძო მეფეს თვისი საუბარი, შეჰხებოდა უჩინარ საგანს თვისის ჰაზრისას. ამაოდ ელოდდა! არ გაუმართლდა ლოდინი. აღარა სთქვა აშოტმა საგანზედ სიტყვა, თავი შეიკავა, გაჩუმდა. გატაცებულ თვალებში მაინც ეტყობოდა. სურათს რასმე შეჰსტრფოდა ოცნებაში დასახულს, ხოლო ულვაშ-ქვეშ კმაყოფილების ნელი ღიმილი ჰმოწმობდა იმას, რომ იგი სახება საამო იყო მისთვის, მსალბუნებელი.

თვის მეხსიერებაში მეფე იმეორებდა ცხად ხილვას უცნაურს. შენივთებულ ომის დროს აშოტს საფრთხე შეემთხვა: ბუმბერაზ მოწინააღმდეგისაგინ მოქნეული გურზი მიშველებულ ფარს მოჰხვდა ზევით ქიმში, დახარა ფარი, ეცა ჯინჯილს მუზარადის თავზედ და გადასწივ-გადახარა ჩაბალახი. მოზნდომმა კვლავ შეიმაღლა იარაღი და უსათუოდ გაუპობდა დაუფარელ შუბლს, თუ აშოტის ხმალს ელვისებურს არ შეეკრა მისთვის თითები. იმ საშინელ განსაცდელის წამს, რომელმა გადიქროლა აშოტის თავზედ, მას ხორცსხმულად მოელანდა შუქური; ქალმა სასოწარკვეთილებით გააპყრო მკლავები აშოტისაკენ, რომ მძლავრად დაშვებულ ლახტს ჯერ ის გაენადგურებინა. განცვიფრდა მაშინ ჭაბუკი, პირჯვარი გადიწერა. იგი განცვიფრება მერმეც იმავ ძალით მეორდებოდა, როცა წარმოიდგენდა იმ საშინელ წამს განწირულებისას.

— ბევრჯელ მწევია განსაცდელი. ვიცი, ამისთანა შემთხვევებში საკვირველის სისწრაფით გაიელვებენ გონებაში წარსული ამბები თუ სურათები. მაგრამ ეს ჩვენება სრულებით არა ჰგვანდა მათ. თითქმის უცნობი ქალის გამოცხადება, მის შეძრწუნება, ჩემ სასხნელად თავის დადება, ეს სულ რამ არის უცნაური. ნუ თუ შუქურის სული თანამდევს მე და მზად არის მეფაროს ძნელ შემთხვევაში?!

— შუქურის სული, თუ ხორციელადაც თითონ შუქური?

— როგორ?!

— ესე: არის ხორცი თავთავადი; ხორცი მშვენიერი, მძიმე, შავ ნივთნაჭარბი, დაშლად მიხდილი; იგი ვერა სდევს მისგან ჰყრობილ სულს აღმაფრენაში. ცოდვაა სული უხრწნელი ხრწნად გვამში მდგომი. არის ხორცი სულიერი, მსუბუქი, მჰვირვალ ნივთთაგან სპეტაკად თხზილი, მარადისობის გზაზედ შემდგარი. ხორცი იგი თანასდევს სულს მის მიმოსვლაში. ტანი იგი სულიერი და სული უნივთო თანაზიარ არიან ერთმანეთისა ყოველს ჟამს, ყოველ საქმეში. მათ თანასვლას ვერ აბრკოლებს მანძილი დიდი, ვერ აყენებს ზღუდე მაგარი.

— ცხოვრებაში?

— ამ ცხოვრებაშიც! ჯერ იშვიათად. უნდა ემსგავსოს ღმერთის შვილი ხორცითაც უფალს...

როგორ განცვიფრებით მიმზერდა შუქია მაშინ, როცა სტუმრად ვიყავი მათთან! თაყვანებით... წავალ! წავესწრაფები ვუამბობ ყველაფერს. სულით დავისვენებ იმ სახიერთან, ფიქრობდა მეფე.

ვეზირს ხმა გაეკმინდა. კვლავ მოლოდინით შეჰყურებდა თავის ბატონსა. დარწმუნებული იყო, თვის იდუმალ ფიქრს განცხადებულ სიტყვებში ჩამოჰქნიდა იგი უნებლიეთ და გაუზიარებდა თავის ხვაშიადს. ისე ცხადადა ჰქონდა მეფეს სურათები ახატული გონების თვალწინ, რომ სწორედ ესე მოიქცეოდა თვის შეუმჩნევლად, თუ არ შეენიშნა ვეზირის თვალებში ცნობის მოყვარეობა ცბიერი. მეფემ თვალი მოჰკრა ამ გამომეტყველებას და თავს მოეგო, დახშა უცხოსგან თვის ფიქრთა კარი, სულაც ჩაკეტა. იგრძნო გამოცდილმა, რომ იმედი გაუცრუვდა ამ ჟამად. მიჰმართა:

— წაბრძანდი, ბატონო! სახელმწიფო შრომის შემდეგ შეგშვენის საკუთარ სურვილთ შეალერსება. თავს გაითავისწინებ, სულს დაიწყნარებ, ახალ გეგმს შესთხზი ხალხთ სასიკეთოდ, შენს სადიდებლად. დავაბინავებთ ლაშქარს, ნადავლის ნაწილს ჩამოურიგებთ დაზარალებულთ, უმწეოდ შთენილთ; მოვაწყობთ ყველაფერს, ვით ეს შეჰშვენის გამარჯვებული აშოტის სახელს. მერმე მობრძანდი სრასასახლეში, მეფევ ბრწყინვალე, შენის მემკვიდრით.

სდუმდა მეფე: ოცნებათა არეშივე დანავარდობდა.

— შენ მობრძანებამდინ ვეცდები შევიტანო ნამდვილი ჰაზრი ბიზანტიის საკეისროსი და ის განზრახვა, რომელი ახელმძღვანელებს მას ჩვენთან ურთიერთობის წარმოებაში.

— იწვრილე, გაიგე! ბიზანტიის ტახტი ყოველთვის ბევრსა გვშირდება, ცოტას გვისრულებს. თავდაჭერით მოეპყარით, გარნა ზრდილობით. ვიცი მაგათი განზრახვა: ჰსურთ გაძლიერდეს ჩვენი სახელმწიფო, მხოლოდ იმ პირობით, რომ მარად ვებრძოდეთ აგარიანთ. ან ისლამი ებრძვის აქ საქრისტიანოს, მაგრამ ამ ბრძოლას უფრო ღრმადა აქვს ფესვები გამდგარი.

— გვიბრძანე, ბატონო მეფევ!

— წინააზიას უნდა ეპყრას თვის ძლევამოსილ ხელში ზღვათა ნაპირები, იმ ზღვათა კიდეები, რომელნი გარს არტყიან დიდ საბერძნეთსაც. ეს სანაპიროები ცხოვრების კარია აზიელთათვის; ეს კიდეები სიმდიდრის ბჭეა ბიზანტიისთვის. ამ ადგილთათვის ებრძოდა მრავალ წელს სპარსეთი ათინას, დიდი დარიოზ ბრწყინვალეს, ძლიერი რომი პონტს თუ სხვა ყველა სახელმწიფოს დასავლეთ აზიაში. ამავე საგნისთვის ებრძვის აწ განახლებული სარკინოზი მიყანდებულ ბიზანტიას. ეს ბრძოლა იქმნება დაუსრულებელი, სანამ რომელიმე მებრძოლთაგანი არ დაეუფლება ამ უშრეტ წყაროს ცხოვრებისას, მტკიცედ, მკვიდრად, საბოლოვოდ.

— რით არიან ეგ ადგილები ეგრე ძვირფასი და სანუკვარნი?

— თვისი ულეველ სიმდიდრით; როგორც მარჯვე გზები სოვდაგრობისათვისაც.

— მესმის!

— საქართველო, შენი სამფლობელო?

— ესეც ხომ მდიდარია, ღვთისგან ნაკურთხი, ედემის კუთხე. სასოვდაგრო გზაც გადმოდის ჩვენს ქვეყანაზედ საუკეთესო და მიემართება სკვითეთისაკენ, ჩინ-მაჩინისკენ, ირან-თურანისკენ, ინდოეთისკენ. ჩვენი ერთობა ბიზანტიასთან ამისთვის ავსებს ჯავრით აგარიანებს. თუ დავეზავებოდით სარკინოზს და ხმალს მივმართავდით ბიზანტიისკენ, მყის მეგობრობად შეიცვლებოდა ეს დიდი მტრობა. არის ამისი ნიშნები.

— როგორ შეიძლება მართლმორწმუნე ერმა მხარი არ დაუჭიროს ბიზანტიას და მიემხროს ვინმე უსჯულოს?!

— სხვა სჯულს, არა უსჯულოს!.. არ შეიძლება, მართალი ხარ... აკი იძულებულნი ვართ განუწყვეტლივ ვებრძოლოთ მტერს უზომოდ ძლიერს... ბიზანტიას არ შეუძლიან შემუსროს ძალა სარკინოზთა.

— მეგობრობის ნიშნებიო აგარიანთა მხრივ, ჰბრძანე შენ.

— დესპანი მოგვივა ემირისაგან და საკვირველ წინადადებას მოგვცემს, თქვა მეფემ.

და ანიშნა, რომ ჰსურდა განმარტოებით ყოფნა. განშორდნენ. ვეზირი გაკვირვებული გამოვიდა მეფის კარაჟიდან. აშოტის ჰაზრთა ახალმა სახემ განაცვიფრა ის.

— ნუ თუ მეფეს სხვა ვინმე ჰყავს უკეთესი მესაიდუმლოვე, მარჯვე მთხრობელი, რომელმა შესძლო მასზედ ადრე გაეგო, რა ხდება თვით სახელმწიფოში თუ მის გარეშე და კიდეც შეატყობინა მეფეს?! მე კი, გამოცდილმა ვეზირმა, ალღოც ვერ აუღე მას.

— ერიჰა! დავბერდი, დავკარგე ფიქრთა სიფხიზლე, მომიცვდა ფხა გონებისა... რას აკეთებენ ჩემ მიერ ემირის კარს მიჩენილნი, რომ არ შემატყობინეს, რა ხდება იქ, რა განზრახვებს ევლებიან იქ თავს, წყრებოდა ვეზირი თავის თავად და ვერ გაეკვლია სიმართლე.

მართალი კი ის იყო, რომ ემირმა კერძოდ მოაწოდა უსტარი აშოტს, საიდუმლოდ. ამცნობდა მეფეს, ელჩებს გაახლებო; სთხოვდა კეთილად შეეწყნარებინა იგინი, გულდინჯად მოესმინა დანაბარები.

36.

დახე, ქალო, პური კიდევ დაჯდა: ნამდვილ გვეწვევა ვინმე.

— მობრძანდეს! სტუმარი ღვთისაა. მეც დილიდანვე მომავალს მეუბნება, თვალი მითამაშებს.

ნეტა ვინ უნდა იყოს მომავალი?

— ვინ იცის! სასიამოვნო კი იქმნება, კარგი ამბის მომტანი: ესე მაქვს დაცდილი მარჯვენა თვალის თამაში.

— ეჰე, ჩემო კარგო, მე კი ველარავის გაუმასპინძლდები ჩემებურად: ავადმყოფობამ დამაძაბუნა, უყავარჯენოდ ველარ დავდივარ.

— მართალს ამბობ! რაც შენ ავად ხარ, სარდალს აღარა უხარიან რა. ჩვენ ჰერ ქვეშ ღიმილს ბინა მოეშალა, სიმძიმილმა დაისადგურა. მაგრამ ნუ ინაღვლებ, ისევა ვნახავთ კეთილ დღეებს. ექიმმა მითხრა, ავადმყოფობა ვერ მოერევა, როგორც მტერიც ვერა სძლევდაო.

— ნეტავი ეგრე მოხდეს, საყვარელო! მეც ხანდახან იმედით შევყურებ მომავალს, როცა მეტ შალავათსა ვგრძნობ. ჰრილობა უფრო საშიში გამოდგა, სინამ ექიმს ეგონა.

— საშიში არაფერია, მაგრამ ძალიან ნელნელა რჩება: შესაფერი წამალი ვერ მოუძებნეს.

— მაინც ეგრეა, ჩემო ყველავ. წამალი კი ვინ იცის, რა ადვილია და უებარი, ოღონდ კაცს შეეძლოს მიაგნოს. გამიგონია: ხელმწიფეს მემკვიდრე ავად გაუხდა, დღითი დღე დნებოდა. მოიღალნენ გათქმული ექიმები მთელის ქვეყნისა. გარდაიცვალა. გასჰრეს. ძვალი უპოვნეს კუჭს გამოზრდილი. ხელმწიფემ ის ძვალი დანის ტარში დაატანებინა. არ იშორებდა. მოხდა, დანა ტარით დასდვა ბოლოკის ნაჭერზედ. დადნა ძვალი.

— ვაჰ, საყვარელო! შემოიკრა მეფემ, უებარი წამალი აქვე ყოფილა, მე კი მთელი ქვეყანა ამაოდ შევსძარი!

— ახ, ნეტა გულთმისანი ვიყო! გავიგებდი, რა გარგებდა და უთუოთ ვიშოვნიდი. სიცოცხლეს გავსწირავდი, მაინც ვიპოვნიდი.

— ჩემო ლამაზო! თუ შენ სიცოცხლეს შესწირავდი, სიმრთელე ჩემთვის ჩალად ღა ეღირებოდა, უთხრა ქმარმა.

და მაჯა დაუკოცნა, გულში ჩაიკრა ხელი პაწაწა.

— მაინც დარწმუნებული ვარ, განგება შეისმენს ჩემს ვედრებას, არ გასწირავს შენ სიჭაბუკეს და მასთან ერთად ჩემსაც სიცოცხლეს. იცი, პატიკო, ძალიან ვლოცულობ, ყოველთვის ვეხვეწები ღვთისმშობელს, მალე გილხინოს. ვიცი, შემისმენს და შემიბრალებს, სთქვა ქალმა და თვალებზედ ცრემლი წამოადგა, მადლით აღსავსე სათნო თვალებზედ. გაჩუმდა ცოლ-ქმარი. ფიქრმა წაილო. სევდამ შავი ზეწარი გადააფარა მათ ყოფას, გული ჩაუბნელა ჯერ სიცოცხლით გაუმაძღარი.

— იცი, პატიკო ჩემო, გამიგონია, ინდოეთში იციან, ქმარი რომ გარდაიცვლება და დასწვავენ, ცოლსაც იმავე კოცონზედ დაფერფლავენო. კარგია! რაღა სასიცოცხლოა ღვთის ანაბარად მიტოვებული ქალი ვაჟკაცის შემდეგ?!

— ნუ იტყვი, ჩემო კეთილო! მიწა გრილია. ნელ-ნელა გაგრილდება გულიც მგლოვრისა. წასულს თან არავინ გაყოლია. ან რა საჭიროა?!.. მეც დამივიწყებენ მეფეც, ჩემი კარგი ამხანაგებიც. ჩემი ხმალი სხვის ხმალში აელვარდება. იქნება შენც დამივიწყო, სიხარულო ჩემო, იქნება...

შესწყვიტა სიტყვა. გული ყელში მოებჯინა იმისთვის საშინელ სურ

შით მტერი განვდევნეთ ქ. გროზნისაკენ. ჩვენი დანაკლისია 50 კაცამდე, მტრის კი 500-დე. მარტო ერთ ხასან იურტის რაიონში ბრძოლის ველზე მათ 500-დე გვამი დასტოვეს. სხვა რაიონებში კი 200-დე. ჩვენი მდგომარეობა მტკიცეა. მთებიდან მოგვეშველნ ძალები. რეგულიარული ნაწილები დიდებულად იბრძვიან".

ამიერკავკასიის კონფერენცია.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკათა შორის შეთანხმება მოჰხდა ამიერკავკასიის კონფერენციის თბილისში მოწვევისათვის. კონფერენციის მოწვევის ვადათ დანიშნულია 25 აპრილი.

კონფერენცია შესდგება საგარეო საქმეთა სამინისტროს სადგომში.

სოჭის ოლქში

გაზეთ „აზხატავორს" სოჭიდან ატყობინებენ, რომ მთელი ოლქი მდინარე ბზიბამდე მოხალისეთა ჯარების ხელშია.

გაგრაში სდგანან ინგლისელების ჯარი და დენიკინის ჯარის ნაწილები. აღადგინეს ძველი წესწყობილება.

ქრონიკა

◆ **მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიის შვილის გარდაცვალება.** 2 აპრილს ღამით, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ვაჟიშვილი—ანდრია 12 წლისა.

◆ **დუშეთის ამბოხების საქმე** თბილისის საგანგებო სასამართლოში გამოვიდა რამოდენიმე ტომი დუშეთის ამბოხების შესახებ. საქმეს გარჩევა დანიშნულია ამ მოკლე ხანში.

◆ **მექრთამობისათვის** 8 აპრილს საგანგებო სასამართლოში დანიშნულია მე-9 კომისარიატის კომისრის თანაშემწის ჰკუასელის გამოძიება რომელსაც მექრთამეობა ბრალდება.

◆ **დ. წერეთლის მკვლელების საქმე.** ამ დღეებში თბილისში საგანგებო სასამართლოში დანიშნულია გასამართლება, იმ გვარდიელთა რომელთაც გორში ოფ. ი. წერეთელი მოჰკლეს.

◆ **ტუხალის გაქცევა.** თბილისის საგანგებო სასამართლოში დანიშნული იყო გასამართლება უფროს მილიციონერ სტუდენტ. პ. ფოხარისა, რომელსაც მექრთამეობა ბრალდებოდა. დამნაშავე, როცა სასამართლოში მიჰყავდათ გზიდან გაიქცა.

◆ **მექრთამეთა საქმეების გარჩევა** თბილისის საგანგებო სასამართლოში ამ დღეებში დანიშნულია გასამართლება იმ კომისრებისა და მილიციონერებისა რომელთაც მექრთამეობა ბრალდებათ.

◆ **ლტოლვილთათვის ფული.** ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტმა პრეზიდიუმის წევრ ბუხბტეინს ახალციხეში 50,000 მ. გაუგზავნა ლტოლვილთათვის დასარიგებლად. მიღებულია ზომები რომ ლტოლვილები ბორჯომიდან და სხვა რაიონებიდან თავიანთ ადგილებში გაიგზავნონ.

◆ **სათესლე ლტოლვილთათვის.** ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედების მინისტრის წინაშე მისცენ ახალციხის ლტოლვილებს სათესლე ხორბალი. მინისტრმა დააკმაყოფილა მათი შუამდგომლობა. მიღებულია სასწრაფო ზომები შუამდგომლობის განსახორციელებლად.

◆ **აბრეშუმის თესლი.** მიწად-მოქმედების მინისტრმა ქუთაისის სააბრეშუმო სადგურის გამგე ქუთათელაძეს მიანდო მოლაპარაკება ადერბაიჯანის დიპლომატიურ აგენტ ჯაფაროვთან, თუ როგორ პირობებში შეიძლება საქართველოდან ადერბაიჯანში აბრეშუმის თესლის გატანა.

— მიწად-მოქმედების მინისტრისა და ერობათა კავშირის დავალებით ქუთაისის აბრეშუმის სადგურის გამგე ქუთათელაძემ სხვა და სხვა ფირმის თესლები შეიძინა. თესლები დაურიგდება ერობებსა და კოოპერატივებს შეღავათიან პირობებში.

◆ **გოგირდ-შაბიამანის შემოტანა.** მიწად-მოქმედების მინისტრმა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ადერბეიჯანის მთავრობასთან ქარცივაძეს დაავალა წინადადება მისცეს ადერბეიჯანის მთავრობას გამოგზავნოს საქართველოში გოგირდი და შაბიამანი. სამაგიეროდ აქედან შეუძლიათ აბრეშუმის თესლი გაიტანონ.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **მკვლელობა.** 2 აპრილს საღამოს 6 საათზე მე-4 რაიონის სახალხო გვარდიელმა შ. ბაზაძემ ვინტოვკით მოჰკლა ქ. ვართანოვი. მკვლელი მიიმალა.

◆ **ქურდობა.** 2 აპრილს ღამით გეგიჯანოვისა და სიმონოვის დუქნიდან ბოროტგამზრახველებმა 25,000 პაპიროსი მოიპარეს. ეჭვით დააპატიმრეს: მ. აკოპოვი, რ. ბარამოვი, დ. გარკაროვი და გ. ვაგაროვი.

◆ **წმ. დავითის ეკლესიის გაძარცვა,** 2 აპრილს ხელახლად გაძარცვეს წმ. დავითის ეკლესია. ბოროტგამზრახველთ გაუღიათ ეკლესიის ეზოში მყოფ სამლოცველოს კარები და წაუღიათ ძვირფასი ნივთები.

◆ **ქურდობა** 2 აპრ. მარგ. სმობლიევის ბინიდან (მალაკნის ქ. № 25) ბოროტ-გამზრახველებმა 10,050 მან. ღირებული ნივთები მოიპარეს.

სამხატვრო ქრონიკა.

სახელმწიფო თეატრი. დღეს მეშვიდეთ იდგმება „აბესალომ და ეთერი".

— **კონსერვატორიის დარბაზი.** კვირას 6 აპრილს ვოლ-ლევიცკაიას კონცერტი შესდგება.

— **ქართული კლუბი.** დღეს ვასო აბაშიძის, ელ. ჩერქეზიშვილის და ტასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოადგენენ აზიურ მხიარულ ოპერეტას „თუ ეს არ იქნება—ის იყოს".

— **„ლადია არგონავტოვ".** დღეს—მორიგი ინტიმური საღამოა იაკობ ლევოვისა.

— **ქართველ მსახიობთა წარმოდგენა ქ. გორში.** კვირა, 13 აპრილს შ. დადიანის მონაწილეობით გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნება პირველად ახალი პიესა „შვილი თუ სიყვარული", როლები განაწილებულია თბილისის სახელმწიფო თეატრის ქართველ მსახიობთა შორის.

— **ქართველ მსახიობთა გამგზავრება.** თბილისის ქართველ მსახიობთა ერთი ნაწილი მიემგზავრება ს. საგარეჯოში, სადაც გამართავენ მხოლოდ ორ წარმოდგენას. კვირას 6 აპრილს „უბედურს" და ვოდ. „მე მოვკვდი"-ს ხოლო ორშაბათს 7 აპრილს „სიძე სიმამრს" ვ. გუნიას სამ მოქმედებიან კომედიას.

პროვინციის ცხოვრება

ქ. ქუთაისი.

— ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა დააპატიმრა სოფ. გეგუთის მცხოვრები გაბრიელ გიგიაძე და მიხეილ ქვიცარიძე, რომელთაც ჰბრალდებათ ქეიშვილზე თავდასხმა და სხვა მრავალი ბოროტმოქმედებანი. როდესაც მიჰყავდათ გზაში გაქცევა დააპირეს მილიციონერებმა გაქცეულებს ესროლეს და ორივე ყაჩაღი მოჰკლეს.

— ამ ერთი კვირის წინად სისხლის სამართლის მილიციის უფროსის მიერ გაგზავნილ იქნა ამ მხარეში ყაჩაღთა ბანდების ასალაგმავად რამოდენიმე მილიციონერი, რომელთაც მიაგნეს ყაჩაღების კვალს სროლის დროს მძიმედ დასჭრეს და დაიჭირეს ყაჩაღ მორჩაძის ამხანაგი გიორგობიანი, ხოლო მორჩაძემ გაქცევა მოასწრო.

— ცნობა ონიანის მკვლელობის შესახებ, რომელიც მოხდა ჯაჭვის ხიდის მახლობლად, როგორც ირკვევა მომახდარა სვანეთის შავრაზმელების ხელმძღვანელობით, ამის გამო, უკვე დააპატიმრეს მელიტონ გარდაფხაძე მიშა გელოვანი და სარდიონ ბერუჩაშვილი.

— ქუთ. მაზრის საერობო გამგეობამ თავის საწყობიდან რაჭის სამაზრო ერობას დაუთმო 4000 ცალი წუმწუმა.

— ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ მიიღო ხონის რკინის გზის საჭიროებისათვის ოცი ვაგონი „ლიანდაგის" რელსები, ვაგონები და სხვა.

ამავე სამაზრო ერობამ მიიღო ექვსი ვაგონი მარილი.

— ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობამ გაგზავნა სამტრედიაში თავისი რწმუნებული იქ სიმინდის შესაძენათ.

— 27 მარტს, ქუთაისში ჩამოიყვანეს, პროვინციაში მილიციონერებსა და ყაჩაღებს შორის შეტაკების დროს დაჭრილი ყაჩაღი დვალი.

დუშეთი.

ორშაბათს, 8 აპრილს დილის ათ საათზე დუშეთში დანიშნულია სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა. თუ ალნიშნულ საათზე არ გამოცხადდა კანონიერი რიცხვი ხმოსნებისა, იმავე დღით, 12 საათზე შესდგება მეორე კრებაც რომელიც კანონიერად ჩაითვლება.

ს. პატარძეული.

შავმა სახადმა სოფელი გაანახევრა. ახლა ამას ზედ დაემატა საქონლის ჭირი. ბეითლის ხსენება კი არ არის. საჭიროა ერობისაგან დახმარება.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

8 აპრილი.

ბოლშევიკური ცნობები.

(მოსკოვი. ც. ქ. ბეჭდ. ბიურ. ბიულეტ.)

ლიონი. მარტის 31. შეთანხმების სოციალისტების კომისიამ ბერნის კონფერენციაზე ინგლისის მინისტრ ლორდ სესილთან თათბირის შემდეგ ხალხთა ლიგის საკითხებზე უარყო თავისი წინადადება იმაზე, რომ დამყარდეს საერთაშორისო თვალყურის დევნა საერთო განიარაღებაზე. მომავალში ომის მოსპობის, ხალხთა ლიგაში დელეგატების არჩევის არა მთავრობის, არამედ თვით ხალხის მიერ, და რუსეთის და გერმანიის ხალხთა ლიგაში შეტანის საკითხებში შეთანხმებას სოციალისტები დათანხმდენ ლორდ სესილს.

ნაუენი, აპრილის 1. გერმანიაში მოითხოვენ რუსეთთან დამოკიდებულების განახლებას. საზოგადოებრივი აზრი გაკვირვებას გამოსთქვამს, რათ უნდა დაეთანხმოს გერმანია მოკავშირეთა მოთხოვნას არ განაახლონ რუსეთთან ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულება.

ბუდაპეშტი. აპრ. 2. პრაგაში გაიმართა მუშათა სოციალისტურ პარტიის რწმუნებულთა კრება, რომელიც მოითხოვს მსხვილ მამულების, მაღაროების, რკინის გზების, ბანკების, დიდ ქარხნების და შენობების კონფისკაციას. შრომის ბევრის კანონის შესახებ რეზოლუცია პროტესტს აცხადებს ჩეხიის მილიტარიზმის წინააღმდეგ, რომელიც ეომება უნგრეთის და რუსეთის პროლეტარიატს. უნგრეთის მთავრობა საუკეთესო მსახიობთაგან ადგენს დასს, რომელიც შემოივლის სოფლებს და გააცნობს გლეხებს თვალსაჩინო მწერალთა და კომპოზიტორთა ნაწარმოებთ-

ნაუენი. აპრ. 1, რურის ოლქში გაფიცვების განახლების გამო შეიდემანის მთავრობამ დაადგინა, შეიყვანოს ამ ოლქში მთავრობის ჯარი და გამოაცხადოს საალყო წესები.

ტაშკენტი. მარტ. 30. ემირის მოკვლის შემდეგ ავღანისტანში დიდი ბრძოლაა ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებად ინგლისელებსა და ნაციონალისტებს შორის.

ბუდაპეშტი. აპრილ. 2. მთავრობის თავმჯდომარემ გარბეიმ ინახულა დღეს უნგრეთის აღმოსავლეთ ფრონტის ჯარი. ჯარისკაცებისადმი სიტყვაში მან განაცხადა, რომ მთელი იმედები დამყარებულია რუსეთის რესპუბლიკასთან კავშირზე.

ნაუენი. აპრილ. 1. ესენის მუშებმა გადასწყვიტეს საერთო გაფიცვა გამოაცხადონ. სხვა მოთხოვნილებათა შორის მუშები მოითხოვენ 6 საათის სამუშაო დღის შემოღებას, საბჭოთა სისტემის აღიარებას, ყველა პოლიტიკურ პატიმართა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, მოხალისეთა ყველა კორპუსების დაშლას, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკასთან ურთიერთობის დაუყოვნებლივ განახლებას.

მოსკოვი აპრილის 2. პროფესიონალურ კავშირების საბჭომ საჭიროდ აღიარა საწარმოვო კავშირებთან ახალგაზრდათა სექციების შექმნა, რის განხორციელება დაევალება ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის მოსკოვის კომიტეტს.

ორენბურგი, 2. 3 აქლემით მოიტანეს 1427 ფუთი ნავთი. შესაძლებელია ნავთის შემოზიდვა თვეში 40,000 ფუთამდე იქმნეს აყვანილი.

მოსკოვი, აპრილი 2. მინსკში მაისის 1-სთვის განზრახულია სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა.

სამხედრო ცნობა. მიტავის რაიონში, ტუკუმის მიმართულებით ჩვენმა შეტევამ უნაყოფოდ ჩაიარა. მიტავის მიმართულებით საარტილერიო ბრძოლაა. პონევეჟის მიმართულებით ლატიშელთა წითელი ჯარი შეტევაზე გადავიდა და რამდენიმე სოფელი დაიპირა მოზირის მიმართულებით მოწინააღმდეგემ მოზირი დაიჭირა.

სამხრეთის ფრონტი. იუზოვკასთან ბრძოლაში ჩვენ ასზე მეტი ტყვე წამოვიყვანეთ და ხელთ ვიგდეთ 5 ტყვიისმფრქვეველი.

ჩრდილოეთით ხად. ავდეევკა დავიჭირეთ. სადგურ აჩერეკინოს აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ სადგური ბახმუტოვკა და სკოტავატაია დაიჭირა. კონტრ იერიშით სკოტავატაია დავიბრუნეთ. ბახმუტის რაიონში ჩვენი ნაწილები გოროლოვკას დაუახლოვდა. აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ ხაზატოვკა დაიჭირა, მაგრამ ჩვენმა ნაწილებმა მდგომარეობა აღადგინეს.

აღმოსავლეთის ფრონტი. სტერლიტამაკის რაიონში ზემო-ურალის მიმართულებით კანანაკოლის ქარხნის აღმოსავლეთით ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ჩრდილოეთით ბრძოლის შემდეგ ჩვენ ავღიანო პეტროვის ქარხანა დავტოვეთ. უფის რაიონში სტერლიტამაკის მიმართულებით ჩვენი ნაწილები ბრძოლით იხევს მდ. აურგაზისაკენ. მენზელინის რაიონში, კრასნოუფის მიმართულებით ბიკარდანსკის ქარხანა დავტოვეთ. უფის რაიონში ჩვენმა შეტევამ უშედეგოთ ჩაიარა. პერმის რაიონში სად. კუზმანთან ბრძოლა გრძელდება. ზოგ ადგილას მდ. კამასთან ჩვენი ჯარი იხევს.

მოსკოვი, აპრ. რუს. კომუნ. პარტ. მოსკოვის კომიტეტი აპრ. 4, მართავს დიდ მიტინგს შემდეგ თემაზე: „საბჭოთა რესპუბლიკა და საშუალო გლეხობა". მიტინგზე გამოვლევ ბუხარინი, კამენევი, კოლონტაი, რიაზანოვი და სხ. წყლის ტრანსპორტის მთავარ სამმართველომ დაადგინა, მტრისგან გაწმენდილ ჩრდილო-დასავლეთის მხარეში მდინარეებზე ხომალდების ნაციონალიზაცია მოახდინოს. „ტრეუგოლნიკის" ქარხანა დღე და ღამეში 13,000 წყვილ კალოშს ამზადებს. ქარხანას დიდძალი სათბობი მასალა აქვს.

ჩერნიგოვი, მარტის 31. სასურსათო კრიზისის შემცირების მიზნით შემოღებულ თავისუფალმა ვაჭრობამ უარყოფითი ნაყოფი გამოიღო, ჩარჩებმა არა ჩვეულებრივათ გააძვირეს საქონელი. ამან მუშათა შორის უკმაყოფილება გამოიწვია და მოითხოვეს თავისუფალ ვაჭრობის მოსპობა. პეტლიურას ჯარისაგან გაწმენდილ ვოლინის გუბერნიის ნაწილებში სდგება კომუნისტური იაჩეიკები, კოოპერატივები და სასოფლო სამეურნეო კომუნები. ბურჟუაზიას კონტრიბუცია დაადვეს და საზოგადო სამუშაოზე გაიწვიეს.

რიგა, აპრილის 1. ლატვიის მიერ მიცემულ საქონლის ნაცვლად უკრაინიდან მოვიდა 35 ვაგონი ქვანახშირი. მოდის აგრეთვე სურსათი. კოსტრომის გუბერნიის სამეურნეო სახალხო კომისარმა წინადადება მისცა ლატვიას, რომ მიაწოდებს კარტოფილს, ფქვილს და შაქარს. ამის ნაცვლათ ლატვიამ რუსეთს გაუგზავნა 32 ვაგონი სხვა და სხვა საქონელი. ლატვიის საბჭოთა მთავრობამ ურთიერთობა გამართა ზოგიერთ უცხო სახელმწიფოებთან, რომელნიც დათანხმდენ ხელის და ხეტყის მასალის ნაცვლათ ლატვიას მიაწოდონ ხორცი. თევზის კონსერვები და სხვა. გამოვიდა ლატვიის ახალგაზრდათა კომუნისტურ საბჭოს ორგანო ჟურნალ „ყრმა კომუნისტი"-ს პირველი ნომერი. ლატვიის სასურსათო სახალხო კომისარის დადგენილებისამებრ ყოფილ თავად აზნაურთა და ბურჟუაზიის სახლებში აღმოჩენილ ყველა სამეცნიერო-საბუნების მეტყველი კოლექციები სასურსათო კომისარიატის მუზეუმების მცირე განყოფილებას უნდა ჩაბარდეს. უკვე შეუდგენ მუშაობას მდ. დვინაზე რიგის ზემოდ კუნძულ დალენზე ჰიდრო ელექტრონის სადგურების მოსაწყობად. წინასწარი ხარჯები თანაბრად უნდა იქნეს დაფარული საბჭოთა ლატვიის და რუსეთის მიერ, ხოლო შემდეგი მოწყობილობა კი ლატვიის ხარჯით უნდა იქნეს შეძენილი. ამ მიზნათ ლატვიის მთავრობას მიეცემა ავანსად 10,000,000 მან. წინასწარ სამუშაობისთვის ეხლავე გადაიდება 5.000.000 მან.

ტაშკენტი, აპრ. 1. მოსული ცნობებით ჩინეთის ილიის პროვინციაში არსებულ მთავრობის წინააღმდეგ რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო, ქალაქ ქულჯაში სამხედრო წესებია გამოცხადებული.

პარიზი, აპრ. 1. ალბანეთის აღმოსავლეთის ფრონტზე ყოფილი მთავარსარდალი ესადფაშა პარიზში ჩამოვიდა საზავო კონფერენციაზე დასასწრებლათ, როგორც ალბანეთის წარმომადგენელი.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბროკდორფ რანტცაუ სამშაბათიდაი ვეიმარში იმყოფება მომავალ საზავო მოლაპარაკებთან დაკავშირებულ აუცილებელ საკითხების გადასაწყვეტათ.

დანციგი და გერმანელ-პოლონეთი. „დეილი-მეილი"-ს მარტის 17 ის ნომერში მოთავსებულია ცნობა,ვითომ დანცინგის კომენდანტს განცხადებიოს, რომ დანცინგის გერმანელებს ურჩევნიათ პოლონეთის ქვეშევრდომობა. ამის გამო უნდა შევნიშნოთ, რომ არა დროს ასეთ განცხადებას ადგილი არ ჰქონია და პირიქით თითქმის ყოველ დღე იმართება დემონსტრაციები ყველა წრეების მონაწილეობით, მთავრობას მოსდის პროტესტები, რომლებიც მოწმობენ, რომ დანცინგის გერმანელები მზათ არიან იარაღით ხელში წინ აღუდგენ დანცინგის პოლონეთთან შეერთებას.

ჯარის კაცთა დათხოვნა.

სამხედრო სამინისტრომ განკარგულება გასცა, რათა ჯარის კაცთა 1899 წლის კონტიგენტი დაითხოვონ რეზერვში, როგორც კი ეროვნულ გვარდიას შეეძლება გასწიოს ამ კონტინგენტის მაგიერობა. მოსალოდნელია ჯარისკაცები აპრილის პირველ რიცხვებში დაითხოვონ.

ამერიკის გემი „ვესტ-კარნიფასკი" წარსულ ხუთშაბათს ჰამბურგის ნავთსადგურში მოვიდა. ის დატვირთულია 6000 ტონი ფქვილით და 15 000 ტონი სხვა სურსათით, რომელიც დაუყოვნებლივ დაურიგდება იმ ოლქებს, რომლებსაც შიმშილის ბლოკადამ დიდი გაჭირვება მიაყენა. ეს გემი დანიშნული იყო დანციგისათვის, მაგრამ შემდეგ ჰამბურგში შესვლის ბრძანება მიიღო.

უნგრეთის დროებითი კონსტიტუცია

უნგრეთის დროებითი კონსტიტუციის შესახებ შემდეგი ცნობებია: მიწათ-მოქმედების საქმეებისთვის არსდება სასოფლო საბჭოები. ქალაქის საქმეებისათვის ქალაქის საბჭოები. ამ საბჭოებისა და საოლქო საბჭოებისაგან შეადგენე სახელმწიფო საბჭოს, რომელსაც საკანონმდებლო უფლება მიენიჭება და იქნება უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის საკანონმებლო ორგანო.

აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება ექნება ყველა მუშებს განურჩევლათ სქესისა, წითელი არმიის ჯარისკაცებს უფლება ეძლევათ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. საარჩევნო უფლება უძლევათ უცხოელებს, რომელნიც უნგრეთში ცხოვრებენ და საერთო სარგებლობისთვის მუშაობენ. ყველას, ვისაც მუშაობა არ სურს და ვინც ამ საერთო ახალ წესრიგს არ დაექვემდებარება, სახელმწიფო საქმეებს მოაშორებენ. ბუდაპეშტში რევოლიუციონური საბჭო სოციალიზაციას ახდენს ყველა სასტუმროებისას. ოთახებს გაანაწილებს საბინაო განყოფილება. მუშათა დაზღვევა ახალ საფუძველზე მოხდება. დაზღვევის კანონებს მოკლე დროში შეიმუშავებენ. ეს ახალი დაწესებულება მუშათა ხელში იქნება.

გერმანიის მთავრობის თხოვნა მოკავშირეებისადმი.

გერმანიის მთავრობამ ნებართვა ითხოვა 4 მცირე კრეისერის შეიარაღებისა გერმანიის სავაჭრო გემების გამგზავრების უზრუნველსაყოფად. რადგან გერმანელ მეზღვაურთა ერთი ნაწილი იმუქრება, რომ გემებს არ გაუშვებენ, მოკავშირეებმა თხოვნა არ შეიწყნარეს. გენ. ხუდარტმა სპაში ჩააბარა მარშალ ფოშის ნოტა.

წითელი ჯვრის საზოგადოების საერთაშორისო კომიტეტმა ცნობა მიიღო რომ ყველა დაჭრილი, დაავადმყოფებული და სამხედრო სამსახურისთვის უვარგისი ტყვე-გერმანელი 2 თვის განმავლობაში სამშობლოში გაიგზავნება.

ჩეხელების და სლოვაკების განწყობილება.

ჩეხიიდან მიღებულ ცნობებით სლოვაკიაში იზრდება მოძრაობა ჩეხელ მმართველების წინააღმდეგ. ერთ მოწოდებაში ნათქვამია: „ჩეხელები კუბოს უმზადებენ მთელ სლოვაკიას. ისინი სცდილობენ უცხო სახელმწიფოები დაარწმუნონ, რომ ჩეხ. და სლოვაკები ერთ ერს შეადგენენ. ჩეხელ. ემებენ გასავალს აღმოსავლეთის ზღვისკენ, ჩვენ კი, სლოვაკები, უნდა ვესწრაფოდეთ სრულ დამოუკიდებულებას და მას, რომ დამოუკიდებლათ ვიმოქმედოთ ჩვენი მიზნების მისაღწევათ.

სურსათის ნაკლულოვნება გერმანიაში.

ამ ჟამად შიმშილმა გერმანიაში უმაღლეს წერტილს მიაღწია. არა დროს მოკავშირეთა ბლოკადის დაწყებიდან გერმანიის მცხოვრებნი ისე არ დატანჯულან როგორც ეხლა კარტოფილის, ქონის და ხორცის სიმცირის გამო. დიდი ნაკლებობაა ყველაფრის. მიუხედავათ ამისა დახმარებისთვის ყველა მიმართვას არ გამოხმაურებიან. მოკავშირეთა პრესა სცდილობს დახმარების დაგვიანება თვით გერმანიას დააბრალოს, რადგან გერმანიის მთავრობას დროით არ გადასცა მოკავშირეებს სავაჭრო ფლოტი.

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი. ადგილობრივ ცენტრ. აღმ. კომიტეტებმა ზომები უნდა მიიღონ, რომ დასაჯონ და დააპატიმრონ ყველნი, მათ შორის აღმ. კომიტეტთა წევრნიც, რომელნიც არ აასრულებენ ადმინისტრაციის განკარგულებას წყალდიდობასთან ბრძოლის შესახებ. მოსკოვის საბჭოს სხდომაზე ფრონტის მდგომარეობის შესახებ ტროცკიმ განაცხადა: აღმოსავლეთის ფრონტზე, მიუხედავათ ქ. უფის დაკარგვისა, კარგი მდგომარეობაა. სამხრეთის ფრონ-

---

თის ხილვით, რომ მისი ცოლი, საყვარელი შუქური სათნო, შეიძლებოდა სხვას აჰხვეოდა მკვიდრ მისაყრდნობელს, რომ ყვავილებად გარდაშლილიყო მასზედ და დაეტკბო იგი სხვა, დაემშვიდებინა.

— უწინამც დღე დაელიოს შენს შუქურს! სთქვა ქალმა გულწრფელად და გაჰკვირდა თითონვე, რომ ვერაგმა გონებამ თვალთ წინ დაუხატა ბუმბერაზი აშოტი, ის წუთი, როდესაც სიომრად მიმავალმა მეფემ ერთს წამს თვალი შეაჩერა მასზედ, განცვიფრებული თვალი, დიადი განცდის მსახველ-მხატველი. რომ დაეთრგუნა იგი მაცთური ჩვენება, რომელი თითქო შეურაცხებას აყენებდა მის ქმარს, მის გვირგვინს ნაკურთხს, მიუახლოვდა ვაჟკაცს და მორცხვად აკოცა ჩაფიქრებულ ტუჩებში. პაატამ მკლავი მოხვია მეუღლეს, მიიზიდა. მალე უშვა ხელი: ფეხის ხმა მოესმა ეზოდან და ზახილი.

— აკი გითხარ, გენაცვალე, მომავალს მეუბნება, სტუმარ გვეწვევა მეთქი. ნეტა ვინ არიან?

— სტუმარი კი არა, ქალო, თითონ მეფე ბრძანდება, ბატონი აშოტი, დაიძახა პაატამ.

და წამოდგა, გაემართა შესაგებებლად. ქალმაც რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მოსულებისკენ. მოიკითხეს ერთმანეთი. გაიხარეს ერთურთის ნახვით. თვალმარგალიტი ჩამოაბნიეს ლამაზი თქმისა, ღიმილ სიცილისა. გაუმასპინძლდნენ მგზავრ რაინდებს, დააპურეს, მოუვლენეს. მეფე მეორე დღესაც იქ დარჩა საღამომდინ. მოსთხოვა მოლარეს, ბევრთმია მასპინძელთათვის გადადებული საჩუქრები.

— ეს შენ, პაატა! ძვირფასად არის მოჭედილი, პირი მაინც სჯობია მკვეთრს: ბასრია, დალოცვილი ოსტატისაგან ნაჭედი. შეგშვენის მებრძოლს!

— გმადლობ, ბატონო მეფევ, წყალობისათვის. ვიყავ მებრძოლი. აჩრდილადა ვარ სიკვდილ მილეული. ვაი თუ ვეღარ დავამშვენო ეს იარაღი, ვეღარ შევღებო ფხა ასხმული შენის მტრის სისხლით.

მეფემ გაიგონა პაატას თქმა, ჰხედავდა, მართალი იყო ის, წინადგრძნობა არ ატყუებდა, მაგრამ თავი შეიკავა, ნუგეშის არა სცა სიტყვით. ან როგორ უნდა ენუგეშებინა უსასოქმნილი?! კარგადა ჰხედავდა მისი გამოცდილი თვალი, უკურნებელი სენი შესდგომოდა ვაჟკაცს და ჰფხვავდა მას ნელნელა, თანისთანობით. აშოტის თვალმა კიდეც განსჭვრიტა აუცილებელი ბოლო პაატას ავადობისა, იხილა იგი უსულოდ მდებარე. შეებრალა უდროვოდ ხელდაკრებილი რაინდი თავდადებული. მეფის გონების თვალთ წინ ბევრი ხანი არ დაჰყო გვამმა უსულომ, მიეფარა. გამოჩნდა შავად მოსილი შუქური. თმაგაშლილი დასტიროდა თავის მეუღლეს. რა კარგი იყო თვით სასოწარკვეთილობაში! ლაწვნი დაეხოკნა, სისხლის ღარნი ეხშირებინა შეუბრალებელს. შხირნი დალალნი ხუჭუჭ სხივებად მოჰფენოდნენ შენამულ სახეს. გადაგდებული ყელი ნათელთა სვეტად მოსჩანდა ძაძის ჩარჩოში, შენივთებულ სხივთა რამ ღეროდ. მიუახლოვდა ცხედარს სევდით ალსავსე, დაეწება მარჯნის ტუჩ-ბაგით მის გაყინულ შუბლს.

— მოაშორეთ! ზედ არ დააკლათ ნორჩი სიცოცხლე ყვავილოვანი!

— ნუ, გენაცვა, ნუ მოიკლავ თავს! დამშვიდდი, დაჰმორჩილდი განგების ნებას. ნუ დასტანჯავ ბედშავის სულს დიდ მწუხარებით.

როგორ შეანათა ამ თქმაზედ დიდრონნი თვალნი ცრემლთ საგუბარნი! მხოლოდ ნეტარს შეეძლო კოცნით შეეშრო იგი თვალები, მხურვალე კოცნით გახშირებულით.

მეფე ისე გაიტაცა ამ სახილველმა, რომ ერთს ხანს დაჰკარგა მან შეგნება სინამდვილისა. თვალგაშტერებით გაჰყურებდა სივრცეს ნაღვლიან დაფიქრებული. პაატამ იდუმალ ანიშნა ეს შუქურს. მეფის სახემ კავშირით მოსილმა სიამე აღძრა ავადმყოფობის გულში: დარწმუნებული იყო საწყალი, რომ აშოტს მისმა ავადობამ აუშალა სევდა-ნაღველი. გულს ეფონა: თანაგრძნობა ძვირფასი ზღვენია ყველასათვის, მეტადრე დიდებულის თანაგრძნობა გულგაღებული. შუქურსაც გაეხარდა, რომ მისი ვარამი საკუთარ დარდად დაესახნა ბუმბერაზ აშოტს. მადლობის თვალი მიაპყრა სტუმარს ალტაცებული.

ვახილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება).

ტზე მდგომარეობა მშვენიერია; უკრაინის ფრონტზე ავიღეთ კოლჩაკოვო და მარიუპოლო. მოკლე ხანში დავიჭირეთ ოდესას დასავლეთის ფრონტზე წითელი არმია თავდაცვას აწარმოებს: ჩრდილოეთის ფრონტზე ჩვენ ვუტევთ და რეზერვებიც გვყავს. ამნაირაირათ თავდაცვის მხრივ ჩვენი საქმე გამარჯვებით გათავდება, თუ ზურგი მხარს დაუჭერს ფრონტს. ჩვენ უნდა გავმაგრდეთ და გავმაგრდებით კიდეც. შორს არაა ის დრო, როცა ევროპის რევოლიუციის მზე ამოვა, ცენტრში მუშათა კლასის შეგნებული ნაწილი მტკიცეთ იდგმება თავის ადგილზე და პროლეტარიატი გაიმარჯვებს. ტროცკის მოხსენების შემდეგ სხდომამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ზამთრის განმავლობაში მუშათა და გლეხთა რუსეთის გარეშე მტრები ემზადებოდენ შეტევისთვის და თითქმის ყველა ფრონტზე ერთ და იმავე დროს სცადეს პროლეტარიატის შინაურ მტრების შეთქმულების განხორციელება. კოლჩაკის და დენიკინის მომხრენი ცილის წამებით და სიცრუის გავრცელებით არ კმაყოფილდებიან და მოუწოდებენ დაქანცულ მუშებს გაიფიცონ, მხოლოდ წითელ არმიელებს-შესწყვიტოს ბრძოლა. აფუჭებენ გზებს, აფეთქებენ ხიდებს და წყალსადენების განადგურებას სცდილობენ. მონარქისტ-მენშევიკების სახელით გამოდიან და სცდილობენ სიყალბით და ცილისწამებით აამხედრონ მუშათა კლასი, მტრების გაერთიანებულ შემოტევას საბჭოთა მთავრობა ულმობელ ბრძოლას უცხადებს. მოსკოვის საბჭო მხარს უჭერს ცენტრალურ საბჭოთა მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რომელნიც მიმართულია მენშევიკების წინააღმდეგ, რადგან ისინი, რუსეთის ბურჟუაზიას და უცხოეთის იმპერიალისტების სასარგებლოთ მოქმედებენ. საბჭო მოითხოვს ყველა მუშებისაგან. ჯარისკაცებისაგან და გლეხებისაგან მოიკრიბონ ძალ ღონე, რადგან გამარჯვება ახლოვდება. გაუმარჯოს წითელ არმიას, საბჭოთა რუსეთს, საბჭოთა უნგრეთს, და საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას. ნაცარეუსის მოხსენების შემდეგ ერთხმათ დაადგინეს გაუქმდეს სარაიონო სამხედრო კომისარიატები.

პოლონეთში ბოლშევიზმის შიში. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ მოკავშირენი აპირებენ საჭირო ზომები მიიღონ, რათა რუსეთიდან ბოლშევიზმი პოლონეთში არ გადვიდეს. ყველაფერი იქნება გაკეთებული, რომ პოლონეთს შეეძლოს დაცვა აღმოსავლეთის საზღვრისა. ჩეხო-სლოვაკები სურსათს გაუგზავნიან პოლონეთს. ეს პირველი ნაბიჯია ბოლშევიკებისაგან დასაცავათ საფრანგეთის მთავრობა გენ. პოლსუდსკის გაუგზავნის გენ. გენრის, როგორც ტეხნიკურ მრჩეველს.

მარტის 27 მოკავშირეებმა დროებითი ზავის გერმანიის კომისიას გაუგზავნეს ნოტა, რომელშიაც ითხოვენ ნებართვას, რომ პოლონეთის ჯარი დანციგში იქნეს გადმოსხმული და პოლონეთში გაუშვან იქ წესიერების აღსადგენათ. გერმანიის მთავრობამ უპასუხა, რომ დროებითი ზავის პირობებით ნება დართულია მოკავშირეთა ვისტუმში თავისუფალი შესვლა წესიერების აღსადგენათ, მაგრამ ეს არ ეხება პოლონელებს. გერმანელებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ დანციგის მეციხოვნე ჯარი და ნაპირის გასწვრივ ზარბაზნები დააწყონ. „ტაიმსი“ ამბობს, რომ გერმანიას სამხედრო მიზნები არა აქვს. მას აქვს მხოლოდ პოლიტიკური მიზნები და ეშინია, რომ პოლონურ დივიზიების გავლით პოლონეთიდან დანციგამდე ტერიტორია არ დაიპყრან პოლონელებმა და ამნაირად კონფერენციას არ დაასწრონ ტერიტორიის ამ ნაწილის ბედის გადაწყვეტა. რასაკვირველია, მოკავშირენი დაჟინებით განაგრძობენ თავის მოთხოვნას, რომ დანციგზე გაატარონ პოლონელები.

შრომის კანონმდ. საერთაშ. კომისიის მოხსენება.

შრომის კანონმდებლობის საერთაშორისო კომისიამ დაამთავრა თავისი მოხსენება, რომელსაც უმთავრესად შემდეგი აქვს სახეში: 1) სამუშაო დღის 8 საათით შეზღუდვა, 2) ყოველი მუშის უფლება ხელფასის მინიმუმზე, 3) თანასწორი ხელფასი მამაკაცებისათვის და ქალაქისთვის ერთი და იგივე ღირსების და რაოდენობის სამუშაოზე 4) არ უნდა იყოს დაქირავებული 14 წ. უმცროსი ბავშვი.

ინგლისური პრესა

14—18 წლის ახალგაზრდათა მუშაობა არ უნდა აბრკოლებდეს მათ ფიზიკურ განვითარებას და სპეციალურ და საყოველთაო სწავლის მიღებას. საგანგებო სხდომა განიხილავს მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც მეზღვაურებს შეეხება.

„მანჩესტერ გარდიან“-მა გამოუშვა საგანგებო ხალხთა ლიგის ნომერი. ლოიდ ჯორჯი ამბობს: ყველა ჩვენი იმედები, რომ კაცობრიობას მომავალში ავაცილოთ 1914 წლის კატასტროფის გამეორება, დამოკიდებულია იმაზე, რომ ჩვენ შევიმუშავოთ ისეთი ძირითადი პრინციპი, რომლის შემწეობითაც კაცობრიობა შესძლებს საერთო საქმის გაკეთებას ნაცვლად შულლისა და ჯიბრისა. ხალხთა ლიგა უნდა იყოს უდიდესი ცდა, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში ხელმძღვანელ პრინციპად უხეში ძალის და ინტრიგის მაგიერ მიქნეს საღი გონების ხალხთა ლიგის პრინციპი მიტოვებული, მაგრამ ხალხთა ლიგა უსარგებლო გამოდგება, თუ მას ჩასთვლიან მხოლოდ როგორც საერთაშორისო შეკავშირების ჩვეულებრივ საქმედ. ერებმა არ უნდა დაიჯერონ, რომ ასეთი პლანის მიღებით უზრუნველყოფილ იქნება მთელი მსოფლიოს მშვიდობიანობა.

გერმანული პრესა.

ჰერცბერგერი

დროებითი ზავის გერმანიის კომისიის თავმჯდომარე ერცბერგერი გერმანიის მთავრობამ გერმანია პოლონეთს შორის სადავო საკითხების გადასაწყვეტათ რწმუნებულათ დანიშნა, ამის გამო მთავრობამ მარშალ ფოშს შემდეგი ნოტა გაუგზავნა: „ცენტრალურ სამინისტრომ თავის რწმუნებულათ დანიშნა ერცბერგერი, რომელიც იგზავნება ქ. სპაში, სადაც 3 აპრილს მოლაპარაკება უნდა გაიმართოს.

ვენაში

ვენასა და ბერლინს შუა ტელეფონი ჯერ აღდგენილი არ არის. ვენაში ამ ჟამათ ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ჰუნგრეთის მოძრაობას უფრო ეროვნული ხასიათი აქვს, ვიდრე ბოლშევიკური.

ფრიდრიხ ადლერის განცხადება

ვენაში მუშათა ყრილობაზე ფრიდრიხ ადლერმა განაცხადა, რომ გერმანიისა ავსტრიისთვის ამ ჟამათ შეუძლებელია ბოლშევიკურ ჰუნგრეთთან შეერთება. ამ განცხადებაში როგორც სჩანს დააწყნარა მასა.

გრაფ კაროლის დაპატიმრება

ბუდაპეშტში ციხეში ჩასვეს გრაფი გეორგ კაროლი, რომელიც ითვლება თვალსაჩინო მუშაკად კონტრ-რევოლიუციონურ მაგნატთა შორის. უნგრეთში მომხდარ ცვლილების გამო ის იძულებული იყო დიდი სპეკულიაცია დაეწყო ვენის ბირჟაზე.

ბუდაპეშტში.

მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარებმა ცეგედენისკენ დაიხიეს. სამხედრო კომისიამ და ამერიკელმა ოფიცრებმა სრულიად მიატოვეს ბუდაპეშტი.

ჰუნგრეთის სოც.-დემ. და კომუნისტურ პარტიების გაერთიანება.

ჰუნგრეთის სოც. დემ. და კომუნისტურ პარტიების გაერთიანება შემდეგ პირობებით მოხდა: 1) მთელი ძალა-უფლება პროლეტარიატს, 2) პროლეტარიატი უნდა შეიარაღდეს, ბურჟუაზია უნდა განიარაღდეს, 3) უნდა შესდგეს მუშათა არმია, 4) ძალა-უფლება გადაეცეს მუშათა, ჯარისკაცთა და პროლეტარ გლეხთა საბჭოებს, 5) მიწა საყოველთაო კუთვნილებას შეადგენს. მიწა არ უნდა დანაწილდეს, ის საერთო ძალ-ღონით უნდა იქნეს დამუშავებული, 6) ფაბრიკა-ქარხნების, გზების და რკინის გზების სოციალიზაცია უნდა მოხდეს, 7) ეკლესიის სახელმწიფოსაგან დაუყოვნებლივ ჩამოშორება.

შვეიცარია და ბოლშევიზმი.

შვეიცარიის პოლიტიკურ დეპარტამენტის უფროსმა კალიონდერმა მიიწვია მოკავშირეთა ელჩი, რომლის წინაშე დიდი შიში გამოსთქვა ნაძალადევ ზავის შეკვრის გამო. მან განუცხადა ელჩს, რომ იგი არ ერევა სხვის საქმეებში, მაგრამ მაინც აღნიშნავს, რომ ამ ზავს შესაძლებელია დიდი შედეგები მოყვეს შვეიცარიისთვისაც. ცოტათ თუ ბევრათ ყველა სახელმწიფოები დაინტერესებულია იმაში, რომ ბოლშევიზმი აღარ გავრცელდეს. ზავის დაყოვნებასთან ერთად იზრდება ბოლშევიზმის საფრთხეც.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან

დ'ანუნციო სენატორად

ცნობილი იტალიელი მწერალი გაბრიელ დ'ანუნციო იტალიის სენატორად დანიშნეს.

თავადი ლვოვი

პარიზიდან მოსული ცნობით რუსეთის კომიტეტის თავმჯდომარედ თ-დი ლვოვი ამორჩევიათ.

დანილევსკის გარდაცვალება

ვარშავაში გარდაიცვალა პოლონეთის ცნობილი პოეტი დანილევსკი.

მოკავშირეთა მოწოდება

პარიზიდან მოსულ რადიოს ცნობით უმაღლეს მოკავშირეთა საბჭოს პოლკებისთვის მიუმართნია რათა გერმანიაში სამხედრო მოქმედება შეაჩერონ.

საზღვაო საკითხი

ამ წერილში მკითხველის ყურადღება მინდა მივაქციო ჩვენი ეკონომიური აღორძინების უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე—ზღვაზე.

დალოცვილია ზღვა და საზღვაო გზები. რამდენი აუარებელი ხარჯი და შრომაა საჭირო ხმელეთზე გზის გასაყვანად. ასე არ არი ზღვაზე. აქ მხოლოდ გემი უნდა ააშენო და მისი ექსპლოატაციის ხარჯები გასწიოთ და მოგება თავისით რჩება. და რამდენად დიდია ეს მოგება ამას ჩვენ ციფრები გვიჩვენებენ. დღეს ფოთიდან—რუსეთში ერთი ფუთი ტვირთის გადაზიდვა იმისდა მიხედვით თუ რამდენ ალაგს იჭერს იგი, ღირს 3 მ.—20 მ. და რომ ავიღოთ ნიმუშათ გემი, რომელიც 9—10 ათასს ფუთს სწევს და რომელიც შეძლების დაგვარ ხან ქარს და ხან ნავთის ძალას ხმარობს მამოძრავებელ ძალით, მისი საექსპლოატაციო ხარჯები გამოვიდეთ, დაახლოვებით 10 12 ათასი თვეში (ამაში შედის სხვა და სხვა გადასახადებიც) ამისთანა გემი სუფთა შემოსავალს 40—50 ათასს დატოვებს თვეში. და აი ამდენი ფული ჩვენ ჯიბეს სცდება და უცხოელის ჯიბეში მიცურავს. და როდემდის უნდა გვეძინოს? ან და შეიძლება ჩვენი დანიშნულებაა მთელი ქვეყნის სასაცილო საგნად ყოფნა. არა არ მჯერა, და არ-კი მსურს დავიჯერო, რომ ეს ასე დიდხანს გასტანს.

დღეს დღეობით მთელი მოძრაობა ჩვენს ნავთსადგურებში და საზოგადოდ შავს ზღვაზე რუსების ხელშია მიუხედავად იმისა რომ მათ სამშობლოში ასეთი ანარქიაა.

რით აიხსნება ეს? ერთი მხრით იმით, რომ ჩვენ, როგორც ეხლა, ისე წინადაც, არ გვყავდა არც ნამდვილი ვაჭარი და არც ნამდვილი მრეწველი, გვყავდა და გვყავს მხოლოდ ჩარჩები. და რა თქმა უნდა რომ ჩარჩის საქმე არ არის ნავოსნობის მოწყობა და საზოგადოდ სერიოზული საქმე. მეორე მხრით ის გარემოება რომ მათ დღეს ზღვაზე მეტოქე არავინ ყავთ, ზღვაზე მიმოსვლის საშვალებანი კი ძალზედ საჭირონი არიან, ეს ყველაფერი ფრთებს უსხავს რუს მეზღვაურებს. უნდა ნახოთ მათი დამცინავი ღიმილი როდესაც რომელიმე ჩვენებური ვაჭარი ხან ერთს გემს ეკვეთება და ხან მეორეს და კაპიტანს ემუდარება: რაც გინდა გამომართვი და ეს საქონელი წამიღე; და ეს სურათი ხდება იმ დროს როდესაც სუყველაფერი ხელს გვიწყობს რომ თამამად ვაწარმოოთ კონკურენცია.

რუსები მრავალ გემებს ჰყიდიან დღეს, ყიდულობენ ოსმალები, ბერძნები და სომხები ყველა ჩვენს გარდა.

დღესა თუ ხვალ სომხები ზღვას ჰნახავენ და სწორედ იმ ზღვას რომელიც ჩვენ დიდი ხანია კიდეც რაც ვნახეთ მაგრამ აქამდის ვერ გამოვიყენეთ. ცისფერი წყლის სივრცის დანახვა სომხებზე უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს სანამ ჩვენზე და აქ ამ წყლის სივრცეზე მოხდება ჩვენი და მეზობელთა ინტერესების შეჯახება. ამ გარემოებამ ძალიან უნდა დააფიქროს ყოველივე ქართველი და მით უმეტეს ვაჭარ-მრეწველნი. დღეს უნდა ენერგიულად მოვკიდოთ ხელი—საჭირო ფლოტის შედგენას.

ამ შემთხვევაში კერძო ინიციატივას უნდა მოევლინოს ხელმძღვანელათ და დამხმარედ, სახელმწიფო, მთავრობა ნავთსადგურების სამმართველოს სახით, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ამ საქმესთან.

დღევანდელ ნავთსადგურების სამმართველოს შეუძლიან კი შეასრულოს ეს მისია? არა და არა! ის დაწესებულება რომელიც, სახელმწიფო საკუთრებისთვისაც ვერ მოუვლია და კერძო ინიციატორს კი რით დაეხმარება.

ბათუმის დაცემის შემდეგ ბევრმა გემმა მოიყარა თავი ფოთის ნავთსადგურში. მაგრამ როგორც ყველგან აქაც დიდი არეულობა გახლდათ. უპატრონობის გამო ამ გემებმა დენა რუსეთისკენ იწყეს.

მათგან დარჩა მხოლოდ იგი რომელსაც არ შეეძლო სწავლა, და არც პატრონსაც არ გამოადგებოდა.

ეს მოხდა შარშან მაისში, მალე ერთი წელიწადი შესრულდება და რა გაკეთდა ჩვენში ამ ერთ წელიწადში საზღვაო საქმისათვის. თამამად შემიძლია ვსთქვა არაფერი. გაკეთდა კი არა პირიქით ბევრი წახდა და აურაცხელი ფული წყალში გადაიყარა. ჯერ ერთი ტრანსპორტ „მიხაილის“ ისტორიამ რამდენი ფული შეიწირა სრულებით უსარგებლოდ. ჯერ ეს ტრანსპორტი სილაზე დააბძანეს, აუარებელი ფული დახარჯეს მის ჩამოსათრევად იმისთვის რომ იგი წყალში ჩაათრიონ, და მერე ფოთში მოყვანისას მან ისევ ჩაძირა—თურმე ვეებერთელა ნახვრეტი ჰქონია ძირში. ეს შემთხვევა დიდად დამახასიათებელია ნავთსადგურების სამმართველოს საქმიანობის.

ფოთის ნავთსადგურის პირველ უფროსად იყო ინჟ. ჯავახიშვილი. მას, ძნელ დროში მოუხდა მუშაობა. ეს სწორედ ის დრო იყო როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, და ყოველ მხრივ ატყდა განგაში მის წინააღმდეგ. ამ დროს ნავთსადგურის სამმართველო რა თქმა უნდა ავსებული იყო რუსებით, რომელნიც რაც შეეძლოთ ხელს უშლიდნენ შემოქმედებით მუშაობას. გარდა ამისა არც თვითონ ჯავახიშვილი გრძნობდა თავს სათანადო ადგილას და რადგანაც ის პატიოსანი კაცი იყო მან ბოლოს უარი სთქვა სამსახურზე. მას შემდეგ დაინიშნა ბ-ნი „დვალიევი“, რომელნიც ნამდვილ გამანადგურებლად მოევლინა ნათვსადგურებს. ეს იყო ნამდვილი შვილი რუსეთის გახრწნილ ბიუროკრატიისა: მისმა „მმართვამ“ ზარალის მეტი არაფერი არ მოუტანა ნავთსადგურს. ამის გარდა მან ისეთი ზნეობა გამოიჩინა, რის გამოქვეყნება ყოვლად შეუძლებელია.

ყველა ჰხედავდა ბ-ნ დვალიევს მოღვაწეობას, მაგრამ ვის რა საქმე ჰქონდა თუ სამშობლოს ზარალი მოსდიოდა? ბოლოს კარგა ხნის ნავარდისა და ასი-ათასი მანეთის შეჭმის შემდეგ, გადაყენებულ იქმნა. მაგრამ დღემდის სამართალში არ არის მიცემული. დვალიევი მის მაგივრად დააყენეს ფოთის მილიციის უფროსი. ამ დანიშვნას ამართლებდენ მის პატიოსნებით. გვჯერა რომ ის პატიოსანი იყო, მაგრამ სად მილიციის უფროსი და სად ზღვა?

თუ კი გემები გვეყოლა და ცოტაოდენი ეხლაც გვყავს, საჭიროა მათი პერსონალი, უმთავრესად კაპიტნები. დღეს კაპიტნებითა და საზოგადოდ მეზღვაურებით ჩვენ ღარიბნი ვართ. ამ ნაკლის შესავსებად, ისევ ჯავახიშვილის დროს კაპიტან კოსტიუკოვს მიენდო საზღვაო სასწავლებლის მოწყობა.

დღემდის და ეხლაც ეს სასწავლებელი უპატრონოდ არის მიტოვებული ალარც ვაჭრობის სამინისტრო უგდებს მას ყურს და ალარც განათლებისა სამოსწავლო წელი თავდება და ანგარიშით საზღვაო სასწავლებლის გემი კიდეც უნდა გასულიყო ზღვაში. ის კი ჯერ ზღვაშიაც არ არის. უნდა მოგახსენოთ კი რომ არც ერთი პროფესსია არ მოითხოვს იმდენ პრაქტიკას როგორც საზღვაო საქმე, ყოველივე მის დარგში. სასწავლებლის უფროსი კოსტიუკოვი რუსია, მაგრამ გულახდილად უნდა ვსთქვა რომ ვგონებ ვერც ერთმა ქართველმა ვერ გამოიჩინა თავის საქმისადმი სიყვარული და ენერგია, როგორც მან. მაგრამ საუბედუროდ მისი ენერგია ეჯახება ჩვენ საკანცელარიო „რუტინას“ და უსარგებლოდ იხარჯება. სასწავლებელს მისცეს გემი, მაგრამ ეს რა მოცემა არის რომ მის შესაკეთებლად ერთი კაპეიკი არ გამოიღო სამინისტრომ. მას კი ჰსჭირია ძირიანად შეკეთება. საქმე იმაში გახლავთ რომ გემის შეკეთებას სჭირდება 40 – 50 ათასსი მანეთი და ამ ფულს კი ის დაუბრუნებს ხაზინას ერთვეში, და სხვა თვეების შემოსავალი (4 თვე) მთლიანად ხაზინას დაუბრუნდება.

სტანისლავ სააკაშვილი.

ნეკროლოგი

† ხიტუ მიქელაძე.

კიდევ ერთი მსხვერპლი! კიდევ ერთი ჩუმი დაუღალავი მოღვაწე დააკლდა ჩვენს საზოგადოებას. საუკუნოდ განისვენა ექიმ ხიტუ მიქელაძემ.

ხიტუ მიქელაძე დაიბადა ს. კულამს 1890 წლებში სასწავლებელში ის განირჩეოდა მოწაფეთა შორის ზნეობით და გულ-კეთილობით. სტუდენტობის დროს პოლიტიკურად იყო შემჩნეული და არა ერთხელ წაუყვანიათ ციხეში.

ბევრი წვალების შემდეგ, ამ ხუთი წლის წინ დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი და მაშინვე იქმნა გაგზავნილი ჩრდილოეთის ფრონტზე, სადაც თავგამოდებით აქიმობდა დაჭრილ ავადმყოფ მეომართ. ომის ლიკვიდაციის შემდეგ ხიტუ ჩამოვიდა თავის სოფელში და თავ-დადებულად მუშაობდა. ისეთი უანგარო ექიმის შეხვედრა მართლაც რომ ძნელია.

ხიტუ მეზობლობას ფულს არ ართმევდა და იყო შემთხვევები, არა ერთხელ, როცა მას მიაწოდეს იმდენი რამდენსაც სხვა ექიმები თხოულობდენ, მან ნაწილი აიღო და დანარჩენი უკანვე დაუბრუნა.

წელს ზაფხულში ებრაელებს მოედვა ხოლერა და ვისაც კი დაემართებოდა ავადმყოფებს ჰ[illegible] ანაზარად სახლში. ასეთ შემთხვევას როგორც კი გაიგებდა ხიტუ თავდაუზოგველად მიდიოდა საშუალების მისაცემად და არა ერთი ავადმყოფი გადაარჩინა თავის მოვლით, ასე რომ წამალიც თითონვე მიჰქონდა და თითონვე უვლიდა. როცა ვეტყოდით ხოლმე: ხიტუ ასე თავ უზოგველად ნუ დადიხარ, თორემ შენ თავს შესწირავო, ის გვიპასუხებდა—„სანამ შემეძლება აგრე უნდა მოვიქცე, როცა მე გავხდები ავად სხვებმა მომიარონო“.

და აი კიდეც გადაედო ავადმყოფებიდან შავი სახადი და ორი თვის ჯვარ დაწერილი ახალგაზრდა, ენერგიით და პატიოსნებით სავსე ყმაწვილი, გამოესალმა წუთი სოფელს.

საუკუნოდ იყოს შენი ხსენება სამაგალითო ექიმო და საუცხოვო ამხანაგო.

გ. დგებუაძე.

„საქართველოს“
რედაქციის
მხატვრული საღამო

12
აპრილი

სურათები, საუკეთესო
შარჟები, არტისტიული
ახალი სანახაობა ქალების კონცერტი

პოლიტიკური და ლიტერატურული
თბილისი საღამოს კედლებზედ.

დიასახლისი: ქ-ნი ნინო გვაზავა.

მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.
მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.
მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
— საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.
მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.
მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.
მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.
მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსისკენ—ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან—თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.
მ. 12 ქუთაისიდან:
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.
მ. № 20 ბორჯომიდან
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბაქოდან

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

თბილისსა და მცხეთის შუა

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.
მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
[illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი
ე. ა. მონსე
ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.
50—2119—30

სტამბა „[illegible]“-ისა, გაზეთის შესახვევი № 4.